წელიწადი მეორე ფასი 5 კაპ. ოთხშაბათი, 27 იანვარი 1916 წ. № 20

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივ [illegible] პირველ გვერდზე [illegible] სტრ. 15 კ., უკანასკნელზე — 10 კ.; კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე **საქართველო** წელიწადი მეორე

**უპრემიოდ:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ღირს 8 მ. 50 კ. ფასის გადახდა შეიძლება სამ ვადაზედ: პირველ იანვრამდე 3 მ., პირველ მაისამდე 3 მ., პირველ ენკენისთვემდე 2 მ. 50 კ., თვიურად—80 კ.

**პრემიით:** წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 10 მ. ფასის გადახდა შეიძლება 3 ვადაზედ: 1 იანვრამდე 5 მ., 1 მაისამდე 3 მ., 1 ენკენისთვემდე 2 მ. ვინც 1 მარტამდე 9 მ. შემოიტანს, გაზეთს ყველა პრემიით მიიღებს.

**პრემიები:** 1) სალიტერატურო კრებული „მერანი“ გამოვა 3 თვეში ერთხელ. ყოველ კრებულში მოთავსებულ იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ორიგინალი ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრების მიერ დასურათებული. 2) საქართველოს ბიბლიოთეკა „ჩვენი მრწამსი“ წიგნაკებად, საქართველოს ეკონომიურს და პოლიტიკურს საკითხებზედ. 3) საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური დიდი რუქა.

კერძო მყიდველთათვის თვითეული კრებ. ღირ. 1 მ. 30 კ., რუქა—2 მ., საქართველოს ბიბლიოთეკის თვით. წიგ.—50 კ.

ფულის გამოგზავნა და ხელის მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში ქ. თბილისი, მოსკოვის ქუჩა, სახლი გაბაშვილისა № 4. ფოსტის ყუთი 76. (Тифлисъ Московская ул. домъ Габаева № 4. почтовый ящикъ № 76.)

**ხელის მოწერა შეიძლება:** ქუთაისში: 1) თომა მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში, 2) კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში, 3) ი. კვიცარიძის მაღაზიაში. ბათომში: წიგნის მაღაზია „ცოდნაში“. თბილისში: ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზოგადოებაში ვასილ ედილაშვილთან. „Новая Рѣчь“-ის წიგნის მაღაზიაში ივანე კიკნაძესთან. სოხო ივანიძესთან. ხარფუხის კლუბის მამასახლის ალექ. ლორთქიფანიძესთან და სასტუმრო „უნივერსალში“, წიგნის მაღაზია „ცოდნა“-ში ს. მერკვილაძესთან. თელავში: ბ. სულხანიშვილთან, ვ. ციცქიშვილთან და კ. ონიკაშვილთან. სიღნაღში: ნიკო ახმეტელაშვილთან. ლაგოდეხში: ფორე ზედელაშვილთან. ქვემო ქიზიყში: ფიფო ალადაშვილთან. ზუგდიდში: კატო კედიასთან. მოსკოვში: გრიგოლ ვეშაპელთან. გორში: ალექსანდრე რომანიშვილთან. ხაშურში: ტრიფონ ჯაფარიძესთან. ჭკადუაში: კალისტრატე ალშიბაიასთან. დუშეთში: მღ. კონსტ. კავკასიძესთან. ს. ფშავში: ევგ. დალაქიშვილთან. ს. შილდაში: ვასილ კევლიშვილთან. ს. ენისელში: ალ. ჯორჯაძესთან. კახში: ზაქარია ედილაშვილთან. მაჩხაანში: ალექსანდრე ნადირაშვილთან და ნიკო კორაშვილთან.

გაზეთის კანტორა ღიაა დილის 9—3 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

რედაქტორ-გამომცემელი სანდრო შანშიაშვილი.

პირველი წელი — პირველი წელი

„საქართველო“-ს რედაქციის თაოსნობით 1916 წლიდან სამთვეში ერთხელ გამოვა

კაზმული და სამხატვრო კრებული

„მ ე რ ა ნ ი“

კრებული წლიურ ხელის მომწერთათვის ღირს 4 მანეთი. ფასის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: 1 მარტამდე 2 მანეთი, 1 თიბათვემდე 2 მანეთი, ცალკე ნომერი ღირება 1 მ. 30 კ. კრებულში მოთავსებული იქნება ჩვენი მწერლების რჩეული ნაწარმოებნი ცნობილ ქართველ მხატვრებისგან დასურათებული. შემოდგომის კრებული საგანგებოდ მიეძღვნება ჩვენი დიდებულის მგოსნის ნ. ბარათაშვილის ძვირფას ხსოვნას მის დაბადებიდან ასი წლის თავის აღსანიშნავად.

ხელის მოწერა მიიღება „საქართველოს“ რედაქციის კანტორაში, თბილისი, მოსკოვის ქუჩა № 4.

გაზეთ „საქართველო“-ს წლიურ ხელის მომწერთ კრებული „მ ე რ ა ნ ი“ უფასოდ დაურიგდებათ.

ექიმი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

კბილის ექიმმა

მამულაიშვილმა

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

სახალხო სახლი (კ. ზუბალაშვილის სახელობისა)

ოთხშაბათს 27 იანვარს 1916 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ქვის მთლელნი

დრ. 4 მოქ. გ. ზუდერმანისა, თაგმ. სანდალასი.

მონაწილეობას მიიღებენ: თოიძე ნინო, ქიქოძე ანეტა, ჯავახიშვილი ნ., აბაშიძე ვასო, გუნია ვალერიან, გომელაური ზ., ვარვარიძე ვ., იმედაშვილი ა. იმხნელი გიორგი, მგალობლიშვილი, ჟივიძე იოს., სარაული მ. ჭიაურელი მ.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.

ადმინისტრაცია ქართ. დრამ. საზოგადოებისა.

ადგილების ფასი 15 კ.-დან 1 მან.50 კ.-დე. (3—39—3)

კბილის ექიმი

ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

ექიმი-დოსტაქარი

გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

სახალხო სახლში

21 თებერვალს 1916 წ. ელ. ჩერქეზიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

I

ბაიყუში

ფარსი 2 მოქმ. ავ. ცაგარლისა

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნი მარგველაშვილი, ბ-ნნი ნ. გოცირიძე, გ. იმხნელი, გ. ჯაბაური, რამაზაშვილი და სხვანი.

II რეჟ. გოცირიძე.

საკონცერტო განყოფილება

მონაწილეობენ ქ-ნი ვერა ჯაჯანაშვილი; ბ-ნნი ვ. დიღმელაშვილი, გ. ჩუბინაშვილი, ს. ძიმისტარაშვილი, ვახ. ჯაბადარი და სხვანი.

დასასრულ გაიმართება ც ე კ ვ ა.

დასაწყისი შუადღას 12 საათზე. ფასი 40 კ.-დან 2 მანეთამდე.

გამგე კნ. ჯავახიშვილი. ადმინისტრატორი გიორგი ჩუბინაშვილი

ბილეთები იყიდება სახაიე „ძმურს ნუგეშში“

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

# ომის ამბები

## ომის დეპეშები

25 იანვარი.

**უმაღლეს მთავარ სარდლის შტაბისა**

**პეტროგრადი.** დასავლეთის ასპარეზი. რიგის რაიონში გაძლიერებული საარტილერიო სროლაა. შენიშნულია, რუსები მარჯვედ ახვედრებენ მტრის საფრებს და მუშებს. იაკობშტადტის რაიონში რუსის რაზმებმა და ცხენოსნებმა მარჯვედ დაზვერეს მტრის პოზიციები მდ. რუსების ნაპირებზე, სადაც გერმანელები გააქციეს. დვინსკის რაიონში მარჯვენა ფლანგის პოზიციების წინ გამოვიდა გერმანელთა ჯავშნიანი ავტომობილი, რომელსაც რუსებმა ზარბაზანი მოახვედრეს და გადააბრუნეს. გერმანელები მძიმე ზარბაზნებს უშენენ სად. ლიქსნოს, დვინსკის ჩრდილოეთით. გერმანელი მფრინავნი რუსთა ნიშნებს ხმარობენ ფრენის დროს. გენერალ ლეჩიცკის ბრძოლის ხაზზე, ბოიანის ჩრდილოეთით, რუსებმა ააფეთქეს ნაღმი. აფეთქებამ ჩააქცია მტრის თხრილები, რუსები გაქანდნენ და სწრაფად დაიჭირეს აფეთქებული ადგილები, სადაც დასახიჩრებულ გერმანელთა გვამები ეყარა. იმავე რაიონში საზვერავად წასული ეფრეიტორი გლუბენკო, ნამდვილად ქ-ნი ჩერნიავსკისა, მივიდა მტრის მავთულიან ღობესთან და, მიუხედავად იმისა, რომ ფეხში მძიმედ იქნა დაჭრილი, ისევ გამობრუნდა და რუსთა თხრილებს დაუბრუნდა, აასრულა რა თვისი მოვალეობა.

**კავკასიის ასპარეზი.** ზღვის ნაპირებზე რუსის რაზმებმა გადაჰლახეს მდ. არხავე, იერიში მიიტანეს ოსმალებზე და რამდენიმე რიგი სანგრებისა დააცლევინეს. ვანის ჩრდილო ნაპირზე რუსებმა დაიჭირეს ადილჯევასკალის რაიონის აღმოსავლეთი ნაწილი.

სპარსეთში რუსებმა შეავიწროეს მტერი კიანგავერის რაიონში.

—

**პეტროგრადი,** 25 იანვარი. სტატს-სეკრეტარი ხარიტონოვი თხოვნისამებრ დათხოვნილია სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობისგან. სახელმწიფო საბჭოს წევრი პოკროვსკი დაინიშნა სახელმწიფო კონტროლიორად.

**ლონდონი,** 24 იანვარი. გუშინღამ დავიჭირეთ აფეთქებულ ადგილების ნაწილი ვერმელთან და ლაბასეს გზასთან, დილა ადრიან გერმანელებმა ნაღმი ააფეთქეს, მაგრამ ჩვენ არავითარი ზარალი არ მოგვსვლია. ფრიზთან, ლაბასეს არხის ჩრდილოეთით, ვიშტატთან და იპრთან საარტილერიო სროლა გრძელდება. გუშინდელ დღეს 28 ჯერ მოხდა ჰაერში ბრძოლა, ექვსი გერმანელთა ჰაეროპლანი იძულებული გახდა თავიანთ ბანაკში ჩაშვებულიყვნენ.

**პარიზი,** 24 იანვარი. მთელ ღამის განმავლობაში მხოლოდ სუსტი საარტილერიო სროლა მოხდა. შამპანში გუშინ შეღამებისას სროლა ავუტეხეთ გერმანელთა სანგრებს მეზონ დე შამპანის გასწვრივ; პერონის სამხრეთით ჩვენი ჰაეროპლანი შეებრძოლა მტრისას, რომელსაც ცეცხლი მოედო და ჩამოვარდა.

**რომი,** 24 იანვარი. მთელს ფრონტზე მხოლოდ საარტილერიო სროლაა.

**ლონდონი,** 24 იანვარი. ბასორიდან მოვიდა ცნობები, 20 იანვრისთვის გამოიდარა, ტალახმა შრობა დაიწყო. დამხმარე ლაშქარი დაბანაკდა. ჯარი ადგილ-მდებარეობის უვარგისობისა გამო ბევრს იტანჯებოდა. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო მტერს 2 ათასი იარდის მანძილიდან დაეწყოთ სროლა. დღეს პირობები ისეთივე შეიქმნა, როგორც საფრანგეთში: ორთავე მხარე მხოლოდ სროლით კმაყოფილდება.

**ოტტავა,** 24 იანვარი. დაიწვა ქარხანა, სადაც სამხედრო ტანთსაცმელს ამზადებდნენ. ჰფიქრობენ, ბოროტგანმზრახველთა საქმეა ეს. ღელდებიან და პროტესტს აცხადებენ.

**ლონდონი,** 24 იანვ. ლლოიდი იუწყება, რომ ინგლისელთა გემი „ბალგოუნი“ დაიღუპაო. გემის მსახურნი გადაარჩინეს გარდა ერთისა.

**ანნამასი,** 24 იანვარი. პარიზის სავაჭრო პალატამ უარჰყო ეკონომიურ კავშირის პროექტი ცენტრალ სახელმწიფოებთან ვაჭრობის დასაჭერად, ეს უფრო პოლიტიკური პროტესტის თვალსაზრისით მოხდა, ვიდრე ეკონომიურად რაიმეს მოგების სიხარბით.

**ლონდონი,** 24 იანვარი. ამერიკაში მყოფი პოლონელები თხოვნით მიჰმართვენ ინგლისის მთავრობას ნება დართონ ამერიკიდან შეიტანონ სურსათი პოლონეთის გამოსაკვებად. ამაზე უარით უპასუხეს: ვიდრე გარანტიას არ მოგვცემთ რომ პოლონეთიდან გერმანელები არ გაიტანენ სურსათს, მანამ ვერაფერს შეგატანინებთო.

**კოპენჰაგენი,** 25 იანვარი. გაზეთ „პოლიტიკენს“ ატყობინებენ, ბელგია-ჰოლანდიის საზღვრები გერმანელებმა დაჰკეტეს, რადგანაც მათი ჯარების დიდი მოძრაობაა.

**პარიზი,** 24 იანვარი. ბელგეთის მინისტრმა ვანდერველდემ სიტყვა წარმოსთქვა ერთ სოციალისტის საფლავზე, რომელიც ომში მიღებულ ჭრილობისგან გარდაიცვალა: „სოციალისტები არასოდეს ზავზე ხელს არ მოაწერენ, ვიდრე ომი სასურველად არ დამთავრდება, ვინაიდან დღეს ასეთს პირობებში ხელის მოწერა ზავზე მომასწავებელი იქნება იმისა, რომ იმპერიალიზმს გავაშლევინოთ ფრთები და მრისხანე მილიტარიზმს მთელი ქვეყნიერება დავალეწვინოთო.

**კორფუ,** 25 იანვ. დღეს ალბანეთიდან ფრანგთა ნალმოსნით მობრძანდა სერბეთის მემკვიდრე ალექსანდრე, რომელსაც შეჰხვდნენ მინისტრი და აღფრთოვანებული ხალხი.

**კოპენჰაგენი,** 25 იანვ. როგორც იტყობინებიან, გერმანეთიდან დანელთა სახელმწიფო ბანკს მიუღია თერთმეტი მილიონი მარკა ოქრო.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**რა ჯდება ომი**

„ნოვ. ეკონ.“ ფრიად საყურადღებო წერილია დაბეჭდილი იმის შესახებ, თუ რა ჯდება დღევანდელი ომი. დღემდე ჯერჯერობით ომი დაჯდა 70 მილიარდი მანეთი. ყველაზე მეტი დღემდე ცენტრალ სახელმწიფოებს გაუღიათ. გერმანეთმა გაიღო 20 მილიარდი მანეთი, ავსტრო-ჰუნგრეთმა 12 მილიარდი. შემდეგ იწყება საფრანგეთი, რომელსაც 12 ნახევ. მილიარდი დაუხარჯავს, რუსეთს—11 მილიარდი, ინგლისს 10 ნახევ. მილიარდი, იტალეთს, იაპონიას, ბელგეთს, სერბეთს და მთაშავეთს ერთად 4 მილიარდი, ოსმალეთს და ბულგარეთს 1 მილიარდი. ინგლისმა და საფრანგეთმა კერძო ხარჯების გარდა დიდძალი სესხი მისცეს მოკავშირეებს, ინგლისმა 4 მილიარდზე მეტი, საფრანგეთმა 500 მილიონზე მეტი. ეკონომისტს ეს ხარჯები არ უანგარიშნია საზოგადო ხარჯებში. ერთი დღე საზოგადოდ ჯდება 130 მილიონი მანეთი. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მეომარ სახელმწიფოებს 45 მილიონი კაცი აუმოძრავებიათ ბრძოლის ველზე გასაყვანად, რომლის მესამედი ნაწილი მაინც დასახიჩრდა, ხოლო მეცხრედი ნაწილი დაიღუპა, მაშინ დავინახავთ, რომ ახალი ხარჯი დღემდე ამ მხრივ ყოფილა 25 მილიარდი მანეთი, ეს იმ შემთხვევაში, თუ თვითეულ ადამიანის სიცოცხლეს უკანასკნელი 5 ათას მანეთად მაინც დავაფასებთ.

როგორც მოახდინეს მებრძოლთა მობილიზაცია, ისევე მოხდა მობილიზაცია ცხენებისა, რამდენი ცხენი გაიყვანეს ბრძოლის ველზე, რამდენი დაიღუპა, ჯერ არავის უანგარიშნია. მაგრამ ზედმიწევნით შეიძლება ითქვას, რომ ექვს მილიონ ცხენზე მეტია გაყვანილი, რომლის ნახევარი მაინც უნდა დახოცილიყოს. დაღუპულ ცხენთა ფასი უნდა ვიანგარიშოდ ერთ მილიარდ მანეთამდე მაინც.

ასევე არ არის ნაანგარიშევი თუ რა ზარალი მოხდა ომის გამო ბელგეთისა, სერბეთის, მთაშავეთისა, ოსმალეთის, ჩრდილო-საფრანგეთისა, გალიციისა, ბუკოვინისა, პოლონეთისა თუ სხვა ადგილებში, სადაც ბრძოლა სწარმოებდა და უკანასკნელი 50 მილიონი მცხოვრები მაინც დაზარალდა ნივთიერად. არ არის ნაანგარიშევი გემთა მიერ მიყენებული ზარალი, ანუ ჰაეროპლანების ნათარეშევის მავნებლობა, თვით დაღუპულ გემთა ღირებულების რაოდენობა და სხვა. ყოველ შემთხვევაში, თუ ზედი-ზედ ვიანგარიშებთ უკანასკნელი 110 მილიარდი მანეთი უნდა დაკარგულიყო დღემდე (ნაანგარიშევია მხოლოდ 547 დღე). ეს გაზვიადებული არ გახლავთ, სრულიად მცირე ნავარაუდევი. ასე რომ თვითეული დღე მებრძოლთ 200 მილიონი მანეთი მაინც უჯდებათ. ახლა ვინ იცის, რამდენი დაიხარჯება, ვინაიდან ადამიანთა სრულს მობილიზაციას ჯერ ბოლო არ უჩანს და ომის დასასრულზე ჯერ ფიქრიც კი არავისა ჰსურს.

### რუსეთის ასპარეზი.

**რიგის მიდამოებში.**

მდ. დვინის ნაპირებზე დიდი თოვლია, მიწა გაყინულია. გერმანელებს აქ სანგრების გაჭრა უძნელდებათ.

რიგის მახლობლად ზღვის სანაპიროებზე ცხარე ბრძოლაა. გერმანელები მედგრად უშენენ შლოკის მიდამოებში, კურლიანდიის მდ. აას მხარეს კალნაცემის მხრიდან, ბაბიტის ტბის სამხრეთიდან. აქ მათი სანგრები რუსების ბანაკიდან 8 ვერსის მანძილზეა. ქ. შლოკსაც რამდენჯერმე აუტეხეს ზარბაზნის სროლა. აქ, სროლის ატეხამდე, გერმანელებმა დაზვერეს მიდამოები ჰაეროპლანებით და ბევრი ყუმბარებიც ჩამოჰყარეს.

**ლიბავას მიდამოებში.**

ლიბავას მიდამოებში გერმანელები ულრან ტყეებს ჰკაფავენ და ამ ადგილებში რკინის გზის ლიანდაგს აგებენ. გახსნეს ორი სავაჟო და ერთიც საქალებო გიმნაზია და საკომერციო სასწავლებელი. თეატრში საოპერო დასი სდგამს წარმოდგენებს. სამხედრო გარდასახადი სულზე თოთხმეტი შაური გააწერეს.

**მდ. სტირზე.**

მდ. სტირის მიდამოები გაუვალ ჭაობებად იქცა.

**ახალ ბრძოლის მოლოდინში.**

„რ. ინვალიდის“ ერთერთი სტოკჰოლმის გაზეთი ცნობას იუწყება, ვითომ საბოლოოდ გერმანეთის მთავარ შტაბს გარდაუწყვეტელი ჰქონდეს ახლო მომავალში რუსეთის ფრონტზე ბრძოლა განაახლოს. როგორც ამბობენ ბრძოლას დაიწყებენ ჩრდილოეთით, დვინის დასავლეთ მხარეს და სამხრეთით ჩერნოვიცის მიდამოებში. ამავე გაზეთის ცნობით გერმანელთა მარცხენა მხარეს ხელმძღვანელობას გაუწევს ფელდმარშალი ჰინდენბურგი, ხოლო ჩერნოვიცის მხარეს —ფელდმარშალი მაკენზენი, ბუკოვინის მხარეს გერმანელებს ჯარი ბელგეთის მხრიდან გადმოჰყავთ. ამბობენ თვით ვილჰელმი უხელმძღვანელებს ბრძოლასაო.

**კავკასიის ფრონტზე.**

როგორც იტყობინებიან, სულთანის ბრძანებით, კავკასიის ფრონტზე მთავარსარდლად დაინიშნა ლიმან ფონ-სანდერსი.

### ბალკანეთი.

**საბერძნეთში.**

საბერძნეთმა გაბედული პროტესტი განუცხადა მოკავშირეებს ყარა-ბურნუს სიმაგრეებისა და ბერძნების მიერ გამაგრებულ ადგილების დაჭერის გამო.

**ცეტინიეში.**

როდესაც მთაშავეთის სატახტო ქალაქი ცეტინიე ყველა სახელმწიფოების დიპლომატებმა დასტოვეს ავსტრია-უნგრელთა შესვლის წინა დღით, საბერძნეთის ელჩს ადგილიდან ფეხი არ დაუძრავს. ავსტრიელ ციხის უფროსის დასტურით, საბერძნეთის ელჩი ცეტინიეს გაჭირვებულ მცხოვრებლებს ნივთიერ დახმარებას უწევს.

მხოლოდ საბერძნეთის საელჩოს აქვს უტყუარი ცნობები, თუ როგორ და რა გარემოებაში გადაწყდა მთაშავეთის ბედი.

**ცეპელინები სოლუნში.**

20 იანვარს ღამით ქ. სოლუნის მაღლა ცეპელინი გამოჩენილა. 2 ყუმბარა საბერძნეთის პოლიციის შენობას დასცემია და ერთიც ბანკს. ბანკი დამწვარა. დახოცილთა მსხვერპლი მრავალია.

**ბულგარეთი და რუმინეთი.**

რუსული გაზეთების სიტყვით, ხმა დადის, ვითომც ბულგარეთი რუმინეთის წინააღმდეგ გასალაშქრებლად ემზადებოდეს.

**მთაშავეთი და ავსტრია.**

ავსტრიის მთავრობამ გამოსცა განმარტება მთაშავეთის დაპყრობის თაობაზე, სადაც ნათქვამია: მთაშავეთი ფაქტიურად გამორიცხულია ჩვენი მტრების სიიდან.

მთაშავეთის მეფე ლიონში იმყოფება, მაგრამ ამას საქმისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ ხელთა გვაქვს მხოლოდ მისი ხელით დაწერილი წინადადება ზავის შეკვრისა. და შეთანხმებას მოაწერს იგი ხელს თუ არა, ჩვენთვის სულერთია, რადგანაც ჩვენ გვინდოდა მთაშავეთის ფაქტიური დაპყრობა და ჩვენს მიზანს მივახწიეთ კიდეც.

## უკანასკნელი ფოსტა

მატარებლის დაჯახების დროს მოკლული გენერალი დიმშა დიდი მცოდნე ყოფილა თოფის წამლის საქმისა.

—

ათინიდან გერმანელებისა, ავსტრიელებისა და ბულგარელების საელჩოთა არქივები მონასტირში გადაიტანეს.

—

ვილნოში ყოველგვარი ოფიციალი განცხადება იწერება გერმანულად, პოლონურად და ებრაულად. რუსული მთლად განდევნილია.

—

24 იანვარს სათათბიროს თავმჯდომარე როძიანკო სადარბაზოდ იყო პრემიერ-მინისტრ შტიურმერთან და ხანგრძლივ ესაუბრა.

—

„რეჩ“-ის აზრით, გერმანელები რუსეთის დასავლეთ ასპარეზზე არსებითს ბრძოლას არ აწარმოებენ, მათი უმთავრესი ყურადღება მცირე აზიისაკენ არის მიქცეული. გენერალ იუდენიჩისა და ბარათაშვილის მოქმედება გერმანელებს მოსვენებას უკარგავსო. თუმცა ეხლა გერმანელების გულის ყური იქითაა მიქცეული, მაგრამ გა-

დამწყვეტი ბრძოლა რუსეთის დასავლეთ ასპარეზზე მოხდებაო.

—

„ფოლსოვა გაზეტა“ სწერს: რომში განზრახული ყრილობა, ყველა მოკავშირეთა წარმომადგენლების ფრიად მნიშვნელოვანი იქნება. ყრილობას სერბეთისა და მთაშავეთის მეფეებიც დაესწრებიან.

—

„ნოვოე ვრემიას“ სიტყვით, ათინაში ფონ-შეკის მეცადინეობით სცდილობენ ვენიზელოსის მოკვლას.

## ბრძოლის ველზე

ოფიციალი მოხსენება მთავარი შტაბისა მხოლოდ ჩვეულებრივ საარტილერიო სროლას აღნიშნავს რიგის რაიონში. ეპიზოდიურ ხასიათის ამბებს, რასაც მოხსენებაში ვკითხულობთ ამა თუ იმ სანგრის აფეთქებაზე თუ რამდენიმე ტყვის ხელში ჩაგდებაზე ბრძოლის საზოგადო მსვლელობაზე არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ცხადია, ეს მხოლოდ მასის დასაკმაყოფილებელი ეფექტია და არა სტრატეგიის რაიმე მნიშვნელოვანი ფაქტი. საყურადღებო და აღსანიშნავი უფრო ის არის, რომ გერმანეთს დღემდე ფართო შემოტევა აღარ უწარმოებია. მართალია, მზვერავთა გახშირება, რაზმების წაწევა-წამოწევა, ჰაერის ფლოტის ამოქმედება თითქოს ბევრს რასმეს ჰგულისხმობდა, მაგრამ არსებითად ყველა ეს ერთგვარი დემონსტრაციები იყო და მეტი არაფერი. რას ჩადის გერმანეთი? საით გაილაშქრებენ? რუსეთის ისეთი ცნობილი სამხედრო მიმომხილველი, როგორც ოლგინი მასლოვი, ჯერ გერმანეთის სრულს დასუსტებას ნაადრევ ოცნებად სთვლის. მათთვის ეს 4—5 თვის სიჩუმე კარგი დრო იყო, რომ შეევსოთ დანაკლისიო. ამის ნიშნები იქიდანაც სჩანს, რომ ხშირად წინ მზვერავებს სრულიად ახალი ძალები ჰხვდებათ. მაშასადამე, უნდა ველოდეთ არა თუ ახალს განცდას, ახალს მნიშვნელოვან პუნქტების დაკარგვას. მით უმეტეს, გერმანეთს ზნეთა სჭირს ხალხში ეფექტის მოხდენა, რაიმე ისეთ ქალაქის ანუ ადგილის დაპყრობა, რომელსაც ხალხი კარგა იცნობს, რა თქმა უნდა, ყველა ეს მორალურ გავლენის გამოისად.

დასავლეთ ფრონტზე ჩვეულებრივი საპოზიციო ბრძოლაა. საყურადღებო ამბად უნდა ჩაითვალოს კოპენჰაგენიდან მოსული ცნობა, როგორც გუშინ, ისე დღეს, რომ ჰოლანდიისა და ბელგეთის საზღვრები დაჰკეტეს გერმანელებმა, რადგანაც ჯარების დიდი გადაყვან-გადმოყვანა დაიწყესო. ამ საიდუმლო ამბის გამჟღავნებას დაერთო ფრიად სიმპტომატიური ცნობა რასაც არ შეიძლება ყურადღება და ისიც განსაკუთრებული არ მიექცეს: ლონდონიდან მოსულ ცნობების თანახმად ორი დიდი დიპლომატი კერზონი და ... მეფე ალბერტთან მისულან მოსალაპარაკებლად. რას ნიშნავს მსოფლიო დიპლომატთა საქმეში ასეთი ჩარევა? ეს ახლო მომავალში გაირკვევა.

კავკასიის ფრონტზე სიწყნარე სუფევს. რუსის ჯართა გამარჯვება დუმილით ... ვირგვინდება. საბოლოო ანგარიშიდან და ოფიციალ ცნობებიდან ირკვევა, რომ რუსებს აზრუმისკენ გალაშქრების დროს მთავარ ძალებთან არ ჰქონიათ შეტაკება და ოსმალთა ჯარების დახევაც განსაკუთრებული სიჩქარით ჰხდებოდა, თითქოს განზრახ, აუჩქარებლივ და წესიერად, ბრძოლაში ამბას ერიდებოდნენო.

სპარსეთის ასპარეზზე ბრძოლას პოზიციური ხასიათი მიუღია. ავდრობა ... ამცხრალა. ტალახი შრება. მებრძოლნი ველად გაიშალნენ, მაგრამ ერთმანეთს ახლოს არ უშვებენ.

დიდ მოვლენად ჩაითვლება ის გარემოებაც, რომ კავკასიის ასპარეზზე მოქმედ ჯარების უფროსად გოლც ფაშა დაუნიშნიათ.

ავტორიტეტულ წყაროებიდან ცნობები მოდის, გერმანეთი დიდ საზღვაო ბრძოლისთვის ემზადება, უმთავრესად ბრძოლას ბალტიის ზღვაზე მოელიან, რათა წინსვლა და მოქმედება გაუადვილონ გერმანელ მოქმედ ჯარებსაო.

X.

## ტფილისი, 27 იანვარი.

საფინანსო საკითხი დღეს ყველა მებრძოლ სახელმწიფოთა განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევს. იგი დღეობით კი არა საათობით იზრდება. სახელმწიფო წარმოუდგენელად ვალიანდება. ბევრს მწარე ფიქრსა ჰგვრის ადამიანს, როდესაც წარმოვიდგენთ, რომ საკმაო ნაწილი ამ ვალისა ჩვენს, მეურნეობით უკან ჩამორჩენილს, ღარიბს, დარბეულს და მრავალ-მხრით დაბეჩავებულს სამშობლოს დააწვება კისერზე.

რითი გავცეთ პასუხი, სად მოგვეპოვება ის რესურსები, რითაც მიეცემა ხალხს საშუალება უმტკივნეულოდ გაუძლოს მას?

ცხადია—დღევანდელი ჩვენი ქონებრივი ავლადიდება, ჩვენი დღევანდელი წესი მეურნეობისა და აღებ-მიცემობისა სრულიადაც არ წარმოადგენენ ისეთ ბეღელს, რომელიც ოდნავად მაინც აუვა მოსალოდნელს გაბეგვრას და ხარჯებს. მაშასადამე, ახლავე უნდა ვიზრუნოთ, ვიღონოთ რამე.

უწინარეს ყოვლისა საჭიროდ მიგვაჩნია მეტი სამეურნეო ინიციატივა გამოვიჩინოთ, ეკონომიურ-წარმოებით ფართე სარეფორმო გზას დავადგეთ და რაციონალური დამუშავება შევიტანოთ ჩვენს მეურნეობაში, რათა შეგვეძლოს ანაზღაურება ბრძოლის ველზე დაღუპული მუშა ხელისა და დაკარგული ქონებისა, მასთან ერთად გაძლოლა მომავალი გაძლიერებულის ფინანსიური დაბეგვრისა.

ამ აუცილებელი საჭიროების განსახორციელებლად-კი საჭიროა სულ სხვანაირი პოლიტიკურ-კულტურული პირობანი ვიდრე დღეს არის. აშკარაა, ჩაფრისა, ბოქაულისა და მწერლის ხელში მყოფი ხალხი ხელ-ფეხ შეკრული იქნება ასეთი მოქმედებისათვის. საჭიროა ფართო თვით-მოქმედება და ისეთი პირობები, საცა ხალხი თავის უნარს, ცხოვრების ალღოს და შემოქმედებითს ძალას საქმეთ განამტკიცებს, რათა განკითხვის დღეს თავი დააღწიოს.

ასეთია მომენტის მოთხოვნილება და რუსეთიც, თუ მას მომავალი უწერია, მოვალე იქნება ანგარიში გაუწიოს მას, მოვალე იქნება აგრეთვე ანგარიში გაუწიოს პატარა ერთა არსებით საჭიროებებსაც.

## დეპეშები

(„საქართველოს“ საკუთარის კორესპონდენტებისაგან).

ფონ-დერ-გოლც-ფაშა მთელის ოსმალეთის ჯარების გენერალისიმუსად დაინიშნა.

—

„რუსკი ინვალიდი“ იუწყება, გერმანეთი დიდს საზღვაო მზადებაშიაო. ბალტიის ზღვაზე მალე ოპერაციების დაწყებას მოჰყვებიან, რათა ხმელეთზე მომქმედ ჯარებს ხელი შეუწყონ წინსვლაშიო. უმთავრესად ყურადღება მიქცეული აქვთ შავლის რაიონში მომქმედ ჯარზე.

—

ბერლინში კრუპს თავის ქარხნის განყოფილება გაუხსნია.

—

გამოვიდა სპარსული ჟურნალი „დამოუკიდებლობა“.

—

იტალეთის პრემიერ მინისტრი სალანდრა თავს ანებებს სამსახურს.

—

გერმანეთისა, ავსტრიელთა და ბულგართა ელჩები ათინიდან მაკედონიაში გადავიდნენ, რათა მოკავშირეებს არ ჩაჰვარდნოდნენ ტყვედ.

—

საბერძნეთის შტაბი ლარისში გადავიდა.

—

სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან საბერძნეთის მემკვიდრე გიორგი დაინიშნა ბულგარეთის მეფის ფერდინანდის ასულზეო.

—

რომში ამ ახლო მომავალში შეთანხმებულ სახელმწიფოთა კონფერენცია მოხდებაო.

—

იმპერატორ ვილჰელმს თავის შტაბითურთ დაუთვალიერებია დუნაის სანაპიროები.

—

„ტაიმსის“ სამხედრო მიმომხილველი პოლკოვნიკი რიპინგტონ ამბობს, ბალკანეთის ოპერაციის შემდეგ გერმანელთა შტაბი ახალ მიზნად დაისახავს აღმოსავლეთის ფრონტზე გალაშქრებასაო. შესაძლებელია, ამაზე დიდი გავლენა იქონია მესოპოტამიაში მომხდარ ამბებმაო.

ქალაქის კავშირი დღემდე გამოქცეულთა რიცხვს, მარტო ერთ ევროპის რუსეთში სთვლის ორ მილიონ ნახევრამდე. ამ რიცხვში არ შედის თურქესტანი და კავკასია.

## ახალი ამბავი

რედაქციისაგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრისთვის აწყობილი ფელეტონი „ქართველ-სომეხთა მისწრაფებანი“ ვეღარ იბეჭდება.

✦ **ალავერდის ეპ. მოსვლა.** ორშაბათს 25 იანვარს პეტროგრადიდან თბილისში დაბრუნდა ალავერდის ეპისკოპოსი ყოვლად სამღვდელო პიროსი. პირველ წირვას ახლად ნაკურთხი მღვდელმთავარი პიროსი შეასრულებს სიონის ტაძარში კვირას 31 იანვარს.

✦ **„განათლების საზოგადოება“.** მოვაგონებთ მკითხველებს, რომ დღეს საღამოს „განათლების“ საზოგადოება თავის სკოლის სასარგებლოთ, არტისტიულ საზოგადოების თეატრში წარმოდგენას მართავს.

✦ **გადამდები სნეულებანი.** 25 ამა თვეს, ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ქუნთრუშიანი 171, ხუნაგიანი 21, სახადიანი 21, საოფლიანი 6, წითელი ქარიანი 1, ბენინგიტიანი 2 კაცი.

✦ **თამბაქო ჯარის კაცთათვის.** ქ-ნ ვესელოვზოროვის თაოსნობით დაარსდა კომისია, რომელშიაც წევრებად 16 კაცი შედის. კომისიას აზრად აქვს მართოს საღამოები, წარმოდგენები და აგრეთვე ჩაის დასალევად მოუწოდოს მსურველთ. შემოსული ფულით კომისია აპირებს თამბაქოს ყიდვას ჯარისკაცთათვის.

✦ **ქალაქის სასაკლაოს რევიზია.** რამდენიმე ხნის წინად სასურსათო თათბირის კრებაზე ყასბებმა განაცხადეს, რომ ქალაქის სასაკლაოზე მრავალი ბოროტმოქმედება ხდებაო. ასეთი ხმები წინადაც დადიოდა სასაკლაოზე გამეფებულ უწესრიგობის შესახებ, რადგან ყასბების განცხადებას ფორმალური ხასიათი ჰქონდა, გამგეობა შეუდგა მთელი თავისი შემადგენლობით სასაკლაოს საქმეების რევიზიას. რევიზიამ ბევრი უწესობა აღმოაჩინა. ანგარიში რევიზიისა ამ დღეებში მოხსენდება საბჭოს.

✦ **პიროგოვის საზოგადოებას** გამოუგზავნია მოსკოვიდან ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებისათვის 1 კილო ($2^1/_2$ გირვანქამდე) ქინა და ჰპირდება, რომ ვეცდებით გაზაფხულზე კიდევ გამოგიგზავნოთ, თუმც ამ ჟამად ერთობ ძნელია ქინის შეძენაო.

✦ **მეპურეების მადა.** მიუხედავად იმისა, რომ გამომცხვარ პურზე ამ რამდენიმე ხნის წინად მიუმატეს ნახევარი კაპეიკი, მეპურეები კიდევ შუამდგომლობენ პურის ფასის გადიდებას ნახევარი კაპეიკით. ამის გამო თბილისის პოლიცმეისტერმა ბრძანება დაუგზავნა ბოქაულებს ხელწერილი ჩამოართვან მეპურეებს, რომ ყველა ხარისხის პური ყოველდღე საკმაოდ აცხონ და თუ რომელიმე მათგანი მოინდომებს პურის გამოცხობის შეწყვეტას, მაშინვე ოქმი შეუყენონ და დაუყოვნებლივ აცნობონ მას.

✦ **ქალაქთა კავშირს** ჰქონდა გამართული საგუბერნიო შენობაში დიდი ლაზარეთი, რომელშიაც 1.000-მდე საწოლი იყო მოთავსებული. ეხლა ეს შენობა ისევ სატუსაღოსათვის დასჭირდა მთავრობას და ლაზარეთის გადატანა იქიდან აუცილებელი გახდა. ამის გამო ქალაქთა კავშირი 400 საწოლის მოთავსებას აპირებს სასულიერო სემინარიის ძველ შენობაში, ხოლო 600 საწოლიან ლაზარეთს ხსნის ქუთაისში და იქაურმა ქალაქის თვითმართველობამ შესაფერისი შენობა აღუთქვა.

✦ **ქალაქის გამგეობამ** ვრცელი მოხსენება შეადგინა სასურსათო საქმის შესახებ და მომავალ ორშაბათს, 1 თებერვალს, წარუდგენს განსახილველად ქალაქის საბჭოს კრებას.

✦ **სურსათი.** 15 ამა თვეს რკინის გზით შემოიტანეს თბილისში: ფქვილი 16 ვაგ., ბრინჯი 1 ვაგ., მარილი 2 ვაგ., ქერი 1 ვაგ., შაშა 7 ვაგ., ქვანახშირი 1 ვაგ., ნავთი 8 ვაგ., მაზუთი 1 ვაგ., ხე-ტყე 1 ვაგ., ბამბა 1 ვაგ., ტყავეული 560 ფუთი, ზეთი 40 ფუთი.

✦ **ქართულ საქველ-მოქმედო საზოგადოების** მთავარმა გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ქალაქთა კავშირის კავკასიის განყოფილების თავმჯდომარის ა. ი. ხატისოვის წინაშე, რომ კავშირმა გახსნას საავადმყოფოები ახალ-სენაკსა დ ჩოხატაურში, რადგან ომისაგან დაზარალებულთა შორის მრავალ-გვარმა სენმა იჩინა თავი. ბ-ნ ხატისოვმა ჩოხატაურში საავადმყოფოს გახსნა შესაძლებლად ვერ ჰპოვა, რადგან იქ რკინის გზა არ გადის, ხოლო ახალ-სენაკის შესახებ თავისი თანხმობა განაცხადა.

✦ **საზოგადო კრება.** დღეს, 27 იანვარს, საღამოს 8 საათზე, დანიშნულია კავკასიის სასოფლო-სამეურეო საზოგადოების კრება, რომელმაც უნდა აირჩიოს სარევიზიო კომისია საზოგადოების 1915 წლის ანგარიშის შესამოწმებლად და განიხილოს სარევიზიო კომისიის მოხსენება 1913 და 1914 წლების ანგარიშის შესახებ.

✦ **გადამდები სნეულებანი.** გუშინ, 26 იანვარს, ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ქუნთრუშიანი 164, ხუნაგიანი 21, სახადიანი 19, საოფლიანი 6, მუცლიანი 1, წითელ ქარიანი 1, მენინგიტიანი 2 კაცი.

### თელავი.

23 იანვარს გაიმართა რუსულ ქართული საღამო ადგილობრივ პროგიმნაზიის სასარგებლოდ. პროგრამა მრავალფეროვანი იყო, თუმცა რუსული სჭარბობდა. საღამოს ამშვენებდა **ნინო ჩხეიძე.** მრავალი ხალხი დაესწრო. სასურველია, საზოგადოება ასეთივე თანაგრძნობით ეკიდებოდეს უფრო სიმპატიურ მიზნით გამართულ საღამოებს.

საქველმოქმედო საზოგადოების აქაური განყოფილება მუშაობას ჯერ-ჯერობით ვერ შესდგომია, რადგანაც მთავარი გამგეობა უგვიანებს თავის ინსტრუქციებს.

24 იანვარს მოხდა კრება საზოგადო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს შემნახველ საზოგადოებისა. 20 წელიწადია ეს ბიბლიოთეკა მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია; სიცოცხლის ნიშანწყალი დღემდე არა ჰქონია. კრებამ მაინც სასურველად სცნო მისი არსებობა.

### საინგილო.

საშინელი ხმელი ყინვები სდგას. არსად თოვლი, ან წვიმა-ტალახი ყველგან გზებზედ მტვრის ბული სდგას და იმავე დროს საშინელი ყინვები კი არის. მოხუცნი ამბობენ თუ ასე გაგრძელდა შარშანდელზედ უფრო კიდევ ცუდი მოსავალი იქნება და ხალხი დაიმშევაო.

— შაბიამნის შოვნა მეტად გასჭირდა. მთელმა აქაურმა გლეხობამ კახის მომხმარებელ საზოგადოებას შეუკვეთა, მაგრამ ჯერ დაბეჯითებით, პასუხი არსაით არის და ხალხი სასოწარკვეთილებაშია. თუ შაბიამანი ვერ მიიღო საზოგადოებამ მაშინ მთელი ვენახები გადახმება და საზოგადოებასაც ხეირს არ დააყრის ხალხი. საჭიროა, რომ თბილისის ქართველმა საზოგადოებამ ყოველი დახმარება გაუწიოს მომხმარებელ საზოგადოებას და უშაბიამნოთ არ დავტოვონ. უშაბიამნობას დიდი უბედურება მოსალოდნელია მოჰყვეს.

## აკაკის სამარეზე

გუშინ მამა დავითის ტაძარში ქართველ ერის სიამაყის აკაკის გარდაცვალების წლის თავზე გადახდილ იქმნა წირვა. მწირველი იყო გორის ეპ. ანტონი, არქ. ნაზარისა და ადგილობრივ კრებულის თანამწირველობით. განიცადეზე სიტყვა წარმოსთქვა განსვენებულზე დეკ. ნ. მაჭარაშვილმა ხოლო წირვის ბოლოს ეპ. ანტონიმ. წირვის შემდეგ შემოსილი სამღვდელოება ეპ. ანტონის მეთაურობით გაიმართა აკაკის სამარისკენ, რომელიც ცოცხალ ყვავილებით და მწვანე ფოთლებით იყო შემკული.

წირვასა და პანაშვიდს დაესწრნენ: განსვენებულის ქვრივი და შვილი, წარმომადგენელნი ქართულ კულტურულ-დაწესებულებათა, მოწაფენი აკაკისეულ ქალაქის სკოლისა და მის ნიჭის პატივისმცემელნი. გალობდა ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების გუნდი ზ. ჩხიკვაძის ლოტბარობით.

გუშინვე საღამოს 6 საათზე ქვაშვეთის ტაძარში გადახდილ იქმნა პანაშვიდი აკაკის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდი გადიხადა საქართველოს ექსარხოსმა პლატონმა ეპისკოპოსების ანტონისა, პიროსისა და ქართველ სამღვდელოების თანამწირველობით. ჰგალობდა ქაუთულ ფილარმონიულ საზოგადოების გუნდი. პანაშვიდს დაესწრნენ განსვენებულის ქვრივი, შვილი და მრავალი პატივისმცემელნი განსვენებულისა.

## დავით აღმაშენებლის დღე

გუშინ ქართულ გიმნაზიის ტაძარში, რომელიც წმ. დავით III აღმაშენებლის სახელზეა აგებული გადახდილ იქმნა წირვა ადგილობრივი კრებულის მიერ. წირვას დაესწრნენ ქართულ კულტურულ დაწესებულებათა, გამგე კომიტეტის, მშობელთა წრის და თავადაზნაურობის წარმომადგენელნი და აგრეთვე მრავალნი მლოცველნი.

განიცადეზე შემდეგის სიტყვით მიმართა მოწაფეთ სჯულის მოძღვარმა დეკ. კ. ცინცაძემ:

„**მოიხსენენით წინამძღვარნი იგი თქვენნი და ჰბაძევდით სარწმუნოებასა მათსა,** ჰბრძანებს მოციქული პავლე (ებრ. 13,7) და მოგვიწოდებს, მივბაძოთ იმ ჩვენს წინამძღვარს, ვისაც ლოცვითა და ვედრებით, ძნობითა და გალობით იხსენიებს დღეს მთელი საქართველო...

რაში უნდა გამოიხატოს მიბაძვა წმიდის მეფის დავითისა გვიჩვენებს ზედწოდება **აღმაშენებელი,** რომელიც დაუსაკუთრა მას ქართველმა ერმა და წმიდა ეკლესიამ...

დაისახა რა მიზნად მცხოვრების მშობლის ერის სამსახური, წმიდა დავითი სიყრმიდგანვე განიბრძნო თანამედროვე სწავლა მეცნიერებით: საღვთო წერილი და ღვთის მეტყველება, ვარსკვლავთ მრიცხველობა და სჯულმდებლობა, ფილოსოფია და ისტორია ზედმიწევნით შეისწავლა წმიდა მეფემ და დაუდვა საფუძვლად ქვეყნის კეთილდღეობისათვის ზრუნვასა და შრომას.

აკი ამისათვის იყო ნაყოფიერ და კურთხეულ ერთიცა და მეორეც,— უტყუარი ისტორია მოგვითხრობს: წმიდამან დავით კვერთხი მეფობისა აღამაღლა, სარწმუნოება განამტკიცა, სამართალი დაამყარა, ზნეობა განაბრწყინვა, ცოდნა განამრავლა, ხიდნი აღაშენნა, გზანი ქვაფენილჰყვნა, აღებ-მიცემობა განავრცელა, მოკლედ—საქართველო აღაყვავა და აღაშენა...

საყვარელნო! ამ ჟამად სამშობლო ჩვენი მოგვაგონებს დავითის წინა დროის საქართველოს: სარწმუნოება შელახულია, ზნეობა დაცემული, ცოდნა დაკნინებული, ქვეყანა პარტახქმნილი, ერი დაქსაქსული და დაწყლულებული...

მერმე ვინ უნდა დასდოს ჩვენს წყლულსა წამალი გამკურნებელი, დაასხას ერთს ჰრილობებს ზეთი მაცხოვნებელი და შეიქმნას ქვეყნის აღმაშენებელი, თუ არა თქვენ, დავითის პატარა ძენო და ასულნო, რომელთაც წმიდა მეფე გიცისკროვნებს გზას ცხოვრებისას და გიხატავსთ გეგმას მოქმედებისას... მაშ ხშირად და ხშირად **მოიხსენენით წინამძღვარი ესე თქვენი და ჰბაძევდით სარწმუნოებასა მისსა. ამინ.**

წირვის შემდეგ წმ. დავით აღმაშენებლის ხატის წინაშე გადახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი.

წირვაზე გალობდა გიმნაზიის გუნდი.

## არქიელი მცხეთაში

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

არქიელის შესახვედრად წინა დღით მცხეთას ჩამოვიდნენ მცხეთის ტაძრის განმაახლებელ კომიტეტის თავმჯდომარე ეპ. ანტონი, მდივანი კ. ცინცაძე და კანდელაკი ა. თოთიბაძე.

25 იანვარს დილის მატარებლით მოვიდნენ დანარჩენი წევრნი კომიტეტისა, თბილისის თავად-აზნაურობის გუბერნიის მარშალი თ-დი კ. ნ. აბხაზი, თ-დი გ. ა. მუხრან-ბატონი, ა. ნატროშვილი, ს. კლდიაშვილი, დეკ. ს. შოშიაშვილი, ნ. თალაკვაძე. ამავე მატარებლით მოვიდნენ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მარშალი თ-დი დ. ო. ნიჟარაძე, გ. დ. ჟურული, თ-დი ა. მ. მუხრან-ბატონი, არქ. ნაზარი და დეკ. კ. კეკელიძე.

$12^1/_2$ საათზე ტაძარში ავტომობილით მობრძანდა საქართველოს ექსარხოსი პლატონი. გალავნის ბჭეში მათ მეუფებას შეხვდნენ თბილისიდან ჩამოსულნი პირნი. აქ დუშეთის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლმა თ-დმა გ. ა. მუხრან-ბატონმა, მხურვალე სიტყვით მიმართა მათ მეუფებას, ტაძრის შესავალში შეხვდნენ კომიტეტის წევრნი, რომლის მხრივაც ეპ. ანტონიმ მეტად გრძნობიერ სიტყვით მიმართა. სიტყვის შემდეგ არქიელი ეამბორა ტაძრის ცხოველს სვეტს და თაყვანი სცა ტაძრის სიწმინდეთ. გადახდილ იქმნა პარაკლისი, რომლის შემდეგ არქიელმა ყველა იქ შეკრებილთ სიტყვით მიჰმართა. თვის სიტყვაში არქიელმა გამოსთქვა სურვილი, რომ ღმერთმა აღირსოს იგი თვისი სახელიც შეტანილ იქნეს ამ მსოფლიო სიწმინდის განმანახლებელთა შორის. შემდეგ გადახდილ იქმნა პანაშვიდი ამ ტაძარში განსვენებული საქართველოს მეფეების, ქათალიკოსების და ახლად შესვენებულ თ-დ კ. ა. ბაგრატიონ მუხრან-ბატონის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის დროს მეტად მწყობრად ჰგალობდა ადგილობრივ გლეხთა ქალ-ვაჟთა გუნდი ქ-ნ ნასარიძის ხელმძღვანელობით. შემდეგ არქიელმა დაათვალიერა შიგნიდან და გარედან ტაძარი. ახსნა-განმარტებას აძლევდნენ ეპ. ანტონი და ან. ნატროშვილი.

[illegible] ტაძრიდან მათი მეუფება წაბრძანდა მცხეთის სამთავრის დედათა მონასტერში. აქ ტაძარში არქიელს შეხვდენ ყველა ის პირნი ვინც თბილისიდან იყვნენ ჩამოსულნი და აგრეთვე ამ მონასტრის სკოლის მასწავლებელნი, მოწაფენი და მონოზონნი იღუმენია ნინოს მეთაურობით. არქიმანდრიტ ნაზარიმ არქიელს სიტყვით მიმართა. პარაკლისის შემდეგ არქიელმა დაათვალიერა სამთავე ტაძარი მონასტრისა და დიდხანს გულმხურვალეთ ილოცა წმ. ნინოს ბუჩქნარში, სადაც ეხლა პატარა ტაძარია აგებული, განსვენებულ იღუმენია ნინოს (სოფლად კნ. ამილახვრისა) მიერ. მონასტრის ღირსშესანიშნავ ადგილების დათვალიერების შემდეგ არქიელი მიწვეული იყო ჩაიზე იგუმენია ნინოსთან. ჩაის დროს არქიელმა იღუმენიას გამოჰკითხა უმთავრესნი საჭიროებანი მონასტრისა და მასთან არსებულ სკოლის მდგომარეობას გაეცნო.

სადილათ მათი მეუფება თავად-აზნაურობამ მიიწვია სამიტროპოლიტო დარბაზში. სადილზე საგულისხმიერო სადღეგრძელოები წარმოითქვა როგორც თვით არქიელის ისე თ-დ კ. ნ. აფხაზის გ. დ. ჟურულის ა. ი. ნატროშვილის და სხვათა მიერ.

საღამოს 5 საათზე არქიელი თბილისს გაემგზავრა.

## კოოპერატიული ამხ. „მეურნე“

კვირას, 31 იანვარს, დანიშნულია საზოგადო კრება მომხმარებელ ამხანაგობა „მეურნესი“, რომლის ისტორია 1913—14 წლამდის ადის. მისი წარმოშობა ჯერ კიდევ ომამდი მოხდა, მაგრამ ომის გასაჭირმაც ვერ გაუღვიძა ჩვენს საზოგადოებას მკაფიო აზრი მომხმარებელ ამხანაგობის საჭიროებისა და აუცილებლობისა. დაჩვეულნი ფართო ოცნებას, განუზომელ გეგმებს და მიზნებს, ჩვენ თითქო არ გვჯერა ხოლმე ასეთი „წვრიმალი“ საქმის საჭიროებისა და გულგრილად შევყურებთ იმას, რომ ჩვენი ნაოფლარი სწორედ ამ წვრიმალების გამო გადადის უცხოთა ხელში, რასაც განსაკუთრებული სისწრაფით ხელი შეუწყო ომმა თავისი „ძვირფასი“ შედეგებით და სპეკულიაციით. ამხ. „მეურნეს“ მისი პირვანდელი შემქმნელნი აკუთვნებდნენ მართალია ვიწრო, მაგრამ რეალურ მიზანს, სახელდობრ საშუალო საბაკალეიო მაღაზიისას, რომელსაც თავის წევრებისათვის უნდა მიეწოდებინა საღი და იაფი სანოვაგე. ეს, შედარებით პატარა, მიზანი თანდათან უნდა გაფართოვებულიყო და „მეურნე“ სოფლის კოოპერატივების დამხმარე და შემდეგ ცენტრალურ საწყობად გადაქცეულიყო, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო პირველ ხანებში შეჩერებულმა საქმემ, უცებ მოინდომა ფრთების შესხმა, რომ პანაცეიათ ჰქცეოდა ყველაფერს და ქართველურ ოცნებებში დაჰკარგა რეალი სახე. რაღა თქმა უნდა ომმაც შესამჩნევად შეუშალა ხელი საქმის მოწყობას, მაგრამ თვით ომი ატარებდა აუარებელ მიზეზს ამგვარ ამხანაგობათა დაარსებისათვის. ამას ჩვენ ნათლად ვხედავთ ჩვენს პროვინციასა და სოფლებში, რომელმაც ამ მხრივ გაუსწრო თბილისს.

მაგრამ ჩვენ არ გვინდა აქ მკითხველს მარტო წარსულის არა სასიამოვნო ამბები მოვაგონოთ, ჩვენ გვინდა ამ წარსულის მოგონებით დავანახვოთ მხოლოდ „მეურნეს“ მომავალის სიადვილე, თუ საზოგადოება უფრო რეალურ ნიადაგზე შესდგება და ჯერხანობით შეამცირებს ოცნებას უნივერსალობაზედ და პირდაპირ იმ თანხით და იმ საშუალებით დაიწყებს საქმეს, რომელიც უკვე ხელში უჭირავს. რამდენადაც ჩვენ ვიცით, „მეურნეს“ ხუთასამდე წევრი ჰყავს და ათას თუმნამდე თანხის დატრიალება შეუძლიან და თუ მისი გამგეობა მეტს რეალ ენერგიას გამოიჩენს, ვიდრე საოცნებოს, საქმე მშვენივრად მოგვარდება. თბილისში უკვე არის რამდენიმე კოოპერატივი („აღორძინება“, „თბილისის კოოპერატივი“, „საზოგადო კლუბის კოოპერატივი“). არის „ნარდათ მყიდველი ბიუროც“ და „მეურნეს“ თავისუფლად შეეძლო მათთან ერთად და სხვების დახმარებითაც მოეგვარებინა სანოვაგის შემოზიდვაც და მომხმარებელთათვის მიწოდებაც. ცოტა მეტი ფხა რომ გამოეჩინათ ხელმძღვანელთ. დღეს უკვე თვალსაჩინო საქმე გვექნებოდა ხელში, რომელიც უფრო მეტი „ოცნების“ საფუძველს მოგვცემდა. მაგრამ დღესაც გვიან არ არის

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქართველი საზოგადოება ყურადღებას მიაქცევს ამ დიდ მომავლიან საქმეს და ხელს შეუწყობს როგორც წევრების გამრავლებით, ისე კრებაზედ დასწრებით და საქმის თავის გამობმით.

**რ. გ.**

## ქართულ თეატრის გარემოს

თეატრი რომ დაიწვა, სულ მცირე რამ გადაარჩინეს სცენის ავეჯეულობიდან. რამდენიმე სავარძელი საშუალო საუკუნების სტილისა, რომაული სავარძლები, პიესა „სინათლისთვის" დამზადებული ქართული სტოლის სავარძლები და სხვა ამისთანა რამ, რომელნიც ზოგი ფეხ მოტეხილია, ზოგიც გადასერილი და ერთის შეხედვით თითქოს არაფერ ღირებულობას არ წარმოადგენს. ეს ავეჯეულობა ცეცხლის შემდეგ, როგორც თავად-აზნაურობის კუთვნილება, მათ სახლში ინახებოდა სასახლის ქუჩაზედ და დღეს რადგან მათთვის ადგილი არ არის, რომ სადმე მოთავსდეს, სახლის მოურავი ინჟ. პ. გ. მამრაძე ურჩევს „ახალი კლუბის" საბჭოს შეიძინონ თავის სცენისთვის. კლუბის საბჭოს ჯერ არ გადაუწყვეტია ამის შეძენა და იმედია არც გადასწყვეტს, რადგანაც ისეთი პიესების დადგმა, რომლებსაც ეს ავეჯეულობა დასჭირდება კლუბის სცენაზედ ან არ დაიდგმიან და, შეიძლება, ძლიერ იშვიათად. ამ რიგად შეიძლება სულ მცირე ფასში ვინმე უცხოს ჩაუვარდეს ხელში ავეჯეულობა, რაიც, ჩემის აზრით, ქართული დაუდევრობა გამოვა. თუმცა ავეჯი არაფერს არ წარმოადგენს თავის თავად, მაგრამ იგი თამამად დაამშვენებს მუზეუმის ქართული თეატრის ისტორიის ნაწილს.

არა მგონია რომ საინტერესო არ იყვეს შვილის-შვილთაგან ნახვა იმ სავარძლებსა, რომელზედაც პირველი ქართული მსახიობი იჯდა ჰამლეტის როლში, ან მეფე ლირისა. სავარძლები უნდა იყვნენ გაკეთებულნი ასე 25 წლის წინ, აქავე უნდა აღვნიშნოთ, რომ საინტერესოა კიდევ, როგორი ნიჭი გამოიჩინა ქართულმა თეატრმა ინსცენიროვკაში. რათ გააკეთებინეს ასეთი სავარილები და არა სხვანაირი; ან იქნებ უბრალო მიბაძვა იყო. ყველა ეს დიდ-მნიშვნელოვანია ქართულ თეატრის ისტორიისთვის და საერთოდ მეცხრამეტე საუკუნის ქართველთა ისტორიისთვის.

კარგი იქნება თუ ჩვენი მუზეუმი შეიძენს, მით უმეტეს რომ სულ უბრალო ფასებში შეიძლება მათი შეძენა.

**ი. ამირეჯიბი.**

## გალმონტის მისალმება

**თქმული გაზ. „საქართველოს" სახელით მოსკოვის ქართ. საზოგადოების ბანკეტზე 14 იანვარს.**

მაღალ პატივცემულო ბატონო კონსტანტინე! კრძალვითი სიყვარულით და მადლობით გადავწანით ჩვენ ეროვნული სარწმუნოებრივი დღეობა იმ მსოფლიო გულთმისანის სახელთან, რომლის წინაპარი იყო ყიფჩაყთა ურდოს „თეთრი გედი"...

თქვენ, მზიდან მზემდის მოგზაური, ეწვიეთ საქართველოშიაც, რათა გესმინათ იქ წარსულთა დროთა მომასწავებელი ძახილი...

მრავალნი არღონნავტნი სწვევიან კოლხეთს; მრავალთ სწადნიათ ოქრომატყლოვან ვერძის გატყავება, გარნა ჭეშმარიტად იაზონზე ბედნიერი ბრძანდებით...

მან მედიას შეცთენით წარიტაცა ვერძის ტყავი, რათა მისი ფასით მიეწია სამეფო ტახტამდის...

თქვენ არ ეძიებდით ტახტს—იგი თქვენ ქვეშეა...

გარნა **ვეფხის ტყავი**, რომელიც თქვენ წარიტაცეთ რუსთველით დამთვრალმა, ათასჯერ მეტად ღირსია მეფის ტახტისა ვიდრე **ტყავი ვერძისა**...

პირველად თქვენ გალექსეთ უცხო ენაზედ შოთას ცეცხლითი სიტყვა და უზიარეთ მსოფლიო პოეზიის კოცონს მისი უმქრალი ალი...

თქვენ წინამორბედთ ვერ გაებედათ ამბად ნაწერის—პროზის—გადალახვა...

ვსტკბებით რა წინასწარ იმ ბედნიერი დღით, როდესაც თქვენ უწყალობებთ მრავალმილიონიან რუსეთს **მთელ** რუსთაველს,—მოგესალმებით ქართველთა ეროვნული ორგანოს სახელით; დაე სწვამდეს უკუნითი უკუნისამდე თქვენი გრძნეული ხელოვნება ცივ მოსკოველთა გულს.

**გრ. ვეშაპელი.**

## სიტყვა

(თქმული 14 იანვარს ქ. გორის „მანდილოსნის" ღარიბთა უფასო სკოლის კურთხევაზე ანასტ. ერისთავ ხოშტარიასაგან)

კაცის ცხოვრება აღვსილია მრავალის მძიმე წუთებით. ხშირად ადამიანი ისე მივა ხოლმე სამარის კარამდე, რომ თავის საწადელს, იდეალ მისწრაფებას განუხორციელებლადვე თან ჩაიტანს საფლავში და ყველასთვის უჩინარი უმნიშვნელო რჩება... ამაოებაა მისი მოვლენა წუთი სოფელში და აგრეთვე შეუმჩნეველია მისი გაქრობაც. ბედ მწარე, ცხოვრებისაგან გაწვალებული ტანჯული საყვედურით თვალს ავლებს ცხედარს და ნაღვლიანად ამბობს: „არც კაცი ვარგა, თუ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყვეს სოფელში და სოფელს კი არა რა არგოს." ამ თქმულებას უნდა სიკვდილის შვილმა ანგარიში გაუწიოს. ზოგი არ უტყდება არავითარ დამაბრკოლებელ მიზეზებს, იბრძვის, ღონივრად უსვამს ნიჩაბს ცხოვრების აღელვებულ ზღვაში და თვისი იდეალის ნავი გაჰყავს აღნიშნულ ნაპირზე. მაშინ ხელებს მაღლა აღაპყრობს და შემოქმედს მადლობას უგზავნის, განვლილი ტანჯვაწამება დავიწყებული აქვს, ხარობს თვის მოქმედების ნაყოფით. აი ასეთს მდგომარეობას განიცდის დღეს ჩვენი მანდილოსნის გამგეობა, როდესაც თვალწინ უდგება სამარადისოდ სათაყვანო წაუშლელი სურათი. გარშემო შემოკრებილან სამღვდელოება, თანამგრძნობნი და-ძმანი. მაღლიდგან ერთის მხრივ დედა ღვთისა, რომლის წილხდომილია საქართველო, და წმიდა ნინო თავის მტკიცე სახით, სასოებათ მფარველებად თავს დგვდგომიან და ჯვრით აკურთხებენ იმ ეკლიან გზას, რომელსაც ვადგევართ. ორმოცზე მეტი მშიერი, შიშველი ბავშვი გაბრწყინვებულის ცქრიალა თვალებით უხმოდ გვემუდარება:—ღვთის გულისათვის მოიღეთ მოწყალება, შეგვეწიეთ! ნუ დაგვიხშობთ ჩვენ წინ გაღებულ სამოთხის კარსა, ნულარ გადაგვყრით დაგვაბრუნებთ იმ საშინელ უმეცრების უფსკრულში, რომელშიაც დღემდის ვიყავით და, რომელიც სათავეა ყოველივე უბედურობისა!.. შეგვიბრალეთ! ჩვენი ხმაც ემატება იმათ პაწია შემკრთალ აძგერებულ გულების ძგერას და მათთან ერთად ვაწვდენთ ხელს ერისკენ და ვითხოვთ დახმარებას.. დადგა დრო, საათი ერთის მხრივ ჩვენი ერის ნატვრა სურვილი, მეორეს მხრივ მისი განმახორციელებელი საგანი, მიზეზი ერთი მეორეს პირისპირ დასდგომიან. როგორც ვაჟკაცს გამოაჩენს ხოლმე მოედანი, ისე ეხლა გამოჩნდება თუ ჩვენს ერს რავდენად შესძლებია მარგალიტ დასხმულ სიტყვების საქმეთ ქცევა.. დაე, უკვდავების წყაროთი მოირწყოს ის ნიადაგი, რომელ ნიადაგზედაც აქა-იქ თავი ამოუყვია მწვანედ ხასხასა ჯეჯილს, დაე, ეს ჯეჯილი გახშირდეს და შემდეგ დაპურდეს ერის სადიდებლად. მაშინ სიხარულით, უფრო თამამად გაშლის ხელებს მანდილოსანი და აღტაცებით შესძახებს: ჩემო მშვენიერო ქვეყანავ! შენ მე მომე სიცოცხლე, შენს კეკლუც ველმინდორზე მოქრიალე ნიავი ნანას უმღერდა სიყრმიდგანვე ჩვენს აკვანსა.. შენ მოგვეცი საზრდო და აჰა ჩვენს მაგივრადაც მიიღე მსხვერპლად ჩვენი არსება, ძალღონე, აზრი, გრძნობა... მაშინ მიიყრდნობს გულზე ხელებს მანდილოსანი და დამშვიდებით განუტევებს სულს მოიმედე, რომ მისი ძვირფასი სამშობლო მომდურებული არ დარჩება.. ეს იმედი ამხნევებს და ძალსა და ღონეს მატებს მას.

დაე აჴვავდეს იმედი,
გულს ნუ გავიტეხთ ნულარა!
კვალად უკივლოს გმირებსა,
მგოსნის დაფმა და ნაღარამ!..

## ვალ. ბრიუსოვის ლექცია

საარტისტო საზოგადოების დარბაზში ვალ. ბრიუსოვმა წაიკითხა ლექცია სომეხთა ლიტერატურის შესახებ. ლექციას გამოცვდის ელფერი ჰქონდა. ბრიუსოვს კარგად შეუსწავლია სომეხთა ისტორია. მხოლოდ ერთი არ გვესმის, ანბანურ ჭეშმარიტების დასამტკიცებლად, რომ ერთ ერთს ლიტერატურაზე აზრზე თუ მიმართულებაზე მეორესაც აქვს გავლენა, რად დასჭირდა არქაულ ხანაში გადატყორცნა, თუ „არმენიის" ხალხს თუ ტომებს ვისთან როდის რა სახის ბრძოლა და დამოკიდებულება ჰქონიათ? მართალია, აღმოსავლეთში ვცხოვრობთ, მაგრამ ამერიკის აღმოჩენის ამბავი დიდიხანია ჩვენც შეგვესმა.

**დ. ქ.**

## იმედის შუქი

(შთაბეჭდილებანი)

ერთს ოჯახში ვიყავით მიწვეული. მასპინძელი გულღია და მოსიყვარულე დაგვიხვდა. საუბარი ჩამოვარდა თანამედროვე ჭირ-ვარამზე, წარსულზე, მომავალზე. ფიქრად მოგვივიდა ერთი ახალი საქმის დაწყება, მისი გაფართოება და მკვიდრ ნიადაგზე დაყენება. ბევრი რამ ტკბილი, სამებელი ითქვა, ბევრი რამ მწარე ნაღველიც გავიხსენეთ წარსულიდან. მაგრამ მომავლის იმედიანმა შუქმა მთლად დაუფუჩა წარსულში ნატკენი გულის იარები. ნასიამოვნები გამოვეთხოვეთ ტკბილ მოსაუბრე, მოსიყვარულე მასპინძელს და სახლისაკენ გავსწიეთ.

გზაზე ფიქრი ფიქრს მოჰყვა:

— ნუ თუ ჩვენც მართლა გამოსადეგნი ვართ?—ვეკითხებოდი ჩემს თავს უნებლიეთ. კაცი ხანში შევსულვარ და ამ ხნის განმავლობაში ერთავად ჩაგვჩიჩინებდენ ჩვენი სოციალისტები: ბურჟუაზია სამშობლოს გამყიდველია, მას არ გააჩნია სამშობლო და ერს გადაგვარების გზაზე აყენებსო. ქვეყნის მასაზრდოებელი მხოლოდ პროლეტარი მუშები და გლეხები არიანო. ამისი წინააღმდეგი არა ვარ. ვგრძნობ, რომ ქალაქის მშრომელი ხალხი თუ სოფლის გლეხობა ქვეყნის მასაზრდოებელია. მაგრამ იმასაცა ვგრძნობ, რომ ყოვლად შეუძლებელია ქვეყანა მხოლოდ ერთს რომელიმე ელემენტზე, ერთს ძალაზე დაეყრდნოს და წინსვლას თავისუფალი გზა მისცეს. ცელი, ან რომელიმე სხვა იარაღი რკინისაა, მაგრამ იმასაც ტარი ხისა აქვს, ტარსაც მომხმარებელი ძალა აამუშავებს...

რამ წარმოშო ეს თვალუწვდენელი და უზარმაზარი, კულტუროსანი, გონებრივად და ტეხნიკურად გაძლიერებული ევროპა თუ არა ბურჟუაზიამ? ყველა თვალ-ხილული ადამიანი ნათლად დაინახავს, რომ ევროპიული ბურჟუაზია მიდის ისეთს ქვეყნებშიაც კი როგორიც რუსეთია, ან სხვა ყრუ ქვეყნებში და იქიდან უვიცობით გაჟღენთილ მშრომელი ხალხის ნაოფლარი გააქვს თავისი ქვეყნის გასამდიდრებლად და ასაყვავებლად.

მეორეც, მშრომელი ხალხიც სარგებლობს ბურჟუაზიის გონებრივი ძლიერებით და მით ადოვლათიანებს და აყვავებს თავისს სამშობლოსა და ერს.

ასეთი აზრები მქონდა კერძოდ მე, და შესაძლებელია ბევრს სხვასაც, მაგრამ ერთმანეთისა გვეშინოდა და ვერ გაგვემხილა, რადგანაც გვეშინოდა, დაგვცინებენ, „ხულიგანებს" და „ნაციონალისტებს" დაგვიძახებენ.. და ჩვენც, ორივე ჯურის სოციალისტებით გარშემორტყმული ცალ-ცალკე, გაჩუმებულნი ვიყავით.

დარწმუნებული ვარ და ბევრიც დამეთანხმება, რომ იმათაც გულწრფელად სწამთ და უყვართ თავისი სამშობლო, გულში ეთაყვანებიან კიდეც, მაგრამ გატაცებულნი სოციალისტურის განყენებულის აზრით ველარ მოუკრებიათ იმდენი ვაჟკაცური ძალა და ნების ყოფა, რომ სამშობლოს სიყვარული და მისი გულისთვის ბრძოლა, დანაშაულობად არ ჩასთვალონ. მაგრამ მათ ერიდებათ არ დაუძახონ „ნაციონალისტი", ამ სიტყვას ისე გაურბიან, როგორც ებრაელი ღორის ხორცს.

მაგრამ, ჰგავს, მოაღწია დრო და ჟამმა. იმასაც მოვესწარით, რომ ჩვენ ბურჟუებმა, მოვახერხეთ, გავბედეთ თავის მოყრა და საზოგადო საქმეზე აზრის გაზიარება. ისე როგორც მაცხოვრის აღდგომა უდღესასწაულიათ მოციქულებს წითელის კვერცხით, ნამალევად.

## ისევ ქუთაისის დირექცია

ქუთაისის დირექცია, ორი წლის სიჩუმის შემდეგ, კვლავ ახმაურდა. კვლავ წამოჰყვეს თავი „დამცველებმა". ამ ჟამად ტონი მისცა სახალხო სკოლების დირექტორმა ბ. ვიშნევსკიმ და მას ბანი მისცა თანაშემწემ ბ. პეტროვმა. პირველი გამოვიდა მეგრული ენის დამცველად, ვინაიდგან ამ ენის გამოყენებლად მიიჩნია თურმე მეგრელებისაგან ქართული ენის შესწავლა, მეორე კი დაერია ქობულეთის სამკითხველოში ქართულ გაზეთებს და ნაცარტუტა ადინა. არ გაგონდება, მკითხველო, პეტროვის საქციელზე უკვდავი გრიბოედოვის გმირის სიტყვები? „По мнѣ собрать всѣ книги да сжечь!" ასეთნი პირნი ქუთაისის გუბერნიაში სწავლა განათლებას უდგანან სათავეში!

რამ გაათამამა ეს ორი ძმა-ბიჭი ასე?

შეიძლება ყოველშემთხვევაში ამ ვაჟბატონებს განათლების სამინისტროს დაწესებულებაში არ უნდა ჰქონდეთ ადგილი, მეტადრე ბ. პეტროვს.

საინტერესოა კავკასიის უმაღლესი სამოსწავლო მთავრობა აქცევს ყურადღებას თუ არა მათ არასაკადრის საქციელს? საჭიროა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ქუთაისის გუბერნიის წინამძღოლმა მიაქციოს, ვისიც ჯერ არს, ყურადღება მათ უკუღმართ მოქმედებას, თუ ყოველივე ეს მართალია.

**ძეგლეველი.**

## ქალაქის საბჭო

25 იანვარი

კრება გაიხსნა ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით საღამოს 8 საათ. 40 წუთზე.

**შეკითხვები:**

**ხ. ალდადანოვი.** ხმა დადის ქალაქის სასაკლაოზე ბევრი უწესოება სუფევსო. ყასბებს ხშირად ხორციც ეკარგებათ.

**ა. მ. არღუთინსკი.** სასაკლაოზე მართლაც არსებობს რამდენიმე შეუფერებელი წესი, მაგრამ გამგეობა ცდილობს ახალი წეს-რიგი შეიმუშაოს და ყოველივე ნაკლი გაასწოროს.

**ხმ. ზორინი.** ვაჭრები შაქარს ნიხრის ზევით ჰყიდიანო, ამბობენ.

გამგეობის წევრი **ა. მ. ჯაბარი.** გამგეობას არც ერთი ვაჭრისთვის არ მიუყიდნია შაქარი. შაქრის დიდი კრიზისის დროს რამდენიმე ვაჭარმა თითონ მიიღო 22.000 ფუთი შაქარი. ქალაქის გამგეობას რაც შაქარი მოჰქონდა, ან კოოპერატივებს აძლევდა გასასყიდად და ან თითონვე ჰყიდიდა.

**მორიგი საგნები.**

საბჭომ თავისს წარმომადგენლად იმ საქალაქო კომიტეტში, რომელიც ჯარში გასაწვევთ ბევრის მოხდის ვადას უცქერის, აირჩია გამგეობის წევრი ბ-ნი ათაბეგოვი.

სარევიზიო კომისიის დამატებით წევრებად არჩეულ იქმნენ: ბ-ნნი ალდადანოვი, მინკევიჩი, ფორაქაშვილი, თამამშევი, ნეპრინცევი, მელიქ-კარაკოზოვი და ბაგიანი.

საბჭომ მოისმინა და დაამტკიცა გამგეობის წინადადება მემამულეებზე დარჩენილ დასაფასებელ გადასახადის შემოტანის ვადის გაგრძელებისა 14 თებერვლიდან 1 მაისამდე. ამ დადგენილებით ხმოსნების არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლებას არც ისინი ჰკარგავენ, რომელნიც უკანასკნელ საარჩევნო სიებში შერიცხულნი არიან, მაგრამ წარსული წლის მეორე ნახევრის დასაფასებელი გადასახადი არ გადაუხდიათ.

კრებამ მოისმინა გამგეობის მოხსენება **ბინების გაძვირების** შესახებ და სავალდებულო დადგენილების პროექტი ამ საგნის გამო. საბჭომ დაადგინა გადაეცეს სავალდებულო დადგენილების პროექტი განსახილველად იურიდიულ კომისიას, იმ პირობით, რომ მომავალ ორშაბათს საბჭოს წარმოუდგინოს გამგეობამ.

## ქართ. კულტურის მოყვ. საზოგადოებაში

შაბათს, 23 იანვარს, საღამოს სრულ 8 საათზე, სამკურნალო საზოგადოების დარბაზში შესდგა ქ. კ. მ. საზოგადოების მორიგი საჯარო კრება **გ. თ. ჟორდანიას** თავმჯდომარეობით.

**ბ-ნმა ივ. ვართაგავამ** დაასრულა თავისი მოხსენების მეორე ნაწილი: **„სოფელი და სოფლელები სოფრ. მგალობლიშვილის მოთხრობებში".**

კრების შემდეგ გაიმართა მცირე კამათი. დაესწრო 200-ზე მეტი კაცი. მომხსენებელმა სხვათა შორის სურვილი გამოსთქვა, რომ ქართ. კულტ. მოყვარ. საზოგადოება დაუყოვნებლივ შეუდგეს ქართველ კლასიკების ნაწერებიდან თანამედროვე მწერლობაში უხმარებელ სიტყვების და ფრაზების ამოკრეფას და მისი პატარ-პატარა წიგნაკებად გამოცემას.

კრებამ ერთხმად და უკამათოდ გაიზიარა ეს აზრი და დაავალა გამგეობას პირველსავე სხდომაზე პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა და ნება მისცა ამისათვის საჭირო თანხის გაღებისა, რამდენიც კი საჭირო იქნება საქმის ჯეროვანად დასაყენებლად.

ბ-ნი მომხსენებელი ივ. ვართაგავა ხალხმა მხურვალე ტაშით დააჯილდოვა.

## სასამართლო

**მკვლელობა.**

25 იანვარს თბილისის სასამართლო პალატამ გაარჩია საქმე **ილარიონ ლორიასი**, რომელსაც ბრალათ ედებოდა ირაკლი ლორიას მკვლელობა. მკვლელობა მომხდარა 1915 წელს იანვრის შუა რიცხვებში; ქეიფის დროს, ილარიონის მამას და ირაკლი ლორიას მოსვლიათ ჩხუბი უკანასკნელი შევარდნია ოთახში მოხუც ლორიას და დანით დაუჭრია; მათ მიშველებია ვინმე ბოცვაძე, ისინი გაუშველებია და დაჭრილი ოთახში დაუმწყვდევია. ირაკლის ეზოში დაუნახავს დაჭრილის ვაჟი ილარიონი, გამოჰკიდებია, დაურტყამს სარი და უსულოდ დაუცია; ამ სურათის დანახვაზე გამოვარდნილა დაჭრილი მამა და შვილს მიჰშველებია. ირაკლი ახლა ამას გამოჰდევნებია! ამ დროს ილარიონი გონზე მოსულა და რა დაუნახავს რომ მამას უკლავდენ, მივარდნილა და გაცოფებული ირაკლი სარით მოუკლავს. პალატამ ლორიას მიერ ჩადენილი მკვლელობა, თავ-დაცვათ იცნო და ბრალდებული გაამართლა.

**თბილისის სასამართლო პალატა ბათომში.**

30 იანვარს ბათომში გაემგზავრება თბილისის სასამართლო პალატის სესია, რომელიც გაარჩევს: ბერძენიშვილის, მილიონერ არუთინოვების, ოგარკოვის და სხვათა საქმეებს. ქართველიშვილს ბრალათ ედება, სასამართლოს ბოქაულის შეურაცხყობა; მას დაიცავს ნაფიცი ვექილი შალვა მესხიშვილი. არუთინოვებს და ოგარკოვს დაიცვენ ნაფიცი ვექილები: ევგ. გეგეჭკორი, კლანკი და დოლუხანოვი. ომის დაწყების შემდეგ სესიის ბათომში გამგზავრება პირველი შემთხვევაა.

**ნიკო ნიკოლაძის საქმე.**

5 თებერვალს თბილისის სასამართლო პალატის სესია ბ-ნ მაკაროვის თავმჯდომარეობით ქალაქ ქუთაისში გაარჩევს ბ-ნ ნიკო ნიკოლაძის საქმეს, რომელსაც ბრალათ ედება ფოთის ელევატორის ამშენებელ ბუნგე-პალაშკოვსკის კომპანიისგან ქრთამების აღება; ბრალდებულს დაიცავს ცნობილი ვექილი კარაფჩევსკი. ეს საქმე დიდ სენსაციას იწვევს საზოგადოებაში; შესავალი ბილეთები უკვე გაცემულია.

## იმერეთის სამღვდელოების დეპუტატების მე-56 ყრილობა

18 იანვარი

18 იანვარს ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის დარბაზში დაიწყო იმერეთის სამღვდელოების დეპუტატთა მე-56 ყრილობა. კრება გახსნა დეკანოზმა ერ. ვეფხვაძემ დღის 12 საათზე და წინადადება მისცა დეპუტატებს, რომ თავმჯდომარე და მდივანი აერჩიათ.

კრებამ კანდიდატებად დაასახელა კეთილმოწესენი სამსონ დევიძე, იუსტინე ფანცხავა და მღვდელი ამბროსი ფოფხაძე. კანდიდატებს კენჭი უყარეს. მ. სამსონ დევიძეს მოუვიდა 24 თეთრი და 7 შავი. მ. იუსტინე ფანცხავას 18 თეთრი და 13 შავი. და მ. ამბროსი ფოფხაძეს 14 თეთრი და 17 შავი. ამრიგათ ყრილობის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა მ. სამსონ დევიძე და მის კანდიდატათ იუსტინე ფანცხავა.

მდივნებათ ერთხმად აირჩიეს მღვდლები ტარასი ძიგრაშვილი და ილია კაციტაძე.

სულ ყრილობას 48 დეპუტატიდან დაესწრო 32. კრება დაიხურა ნაშუადღევის 3 საათზე.

19 იანვარი

სანამ კრება გაიხსნებოდა, დარბაზში მობრძანდა იმერეთის ეპისკოპოსი გიორგი. ყოვლად სამღვდელომ ლოცვა კურთხევით დალოცა დეპუტატები, იმსჯელა რამდენიმე საკითხზე და შემდეგ დარბაზი დასტოვა.

კრება გაიხსნა დღის 11 ნახევარ საათზე სამსონ დევიძის თავმჯდომარეობით. ბ. თავმჯდომარემ კრებას მოაგონა გასულ წელს ჩვენი ეროვნული მგოსნების, აკაკისა და ვაჟას გარდაცვალება და წინადადება მისცა, რომ სანამ ყრილობა გათავდებოდეს, მათ სულის მოსახსენებლად პანაშვიდი გადაიხადონ. ამის შემდეგ გადადიან საკითხების გარჩევაზე.

**სანთლის საკითხი.**

როგორც გამოირკვა იმერეთის სამღვდელოებას ამჟამად სანთელი აკლია. მატარებლების მიმოსვლის არა ნორმალური წესის გამო სანთელი გაძვირდა. რამაც სამღვდელოება ცუდ მდგომარეობაში ჩააყენა. ამისთვის აირჩიეს კომისია, რომელმაც უნდა გამოარკვიოს სანთლის საკითხი და ამ ყრილობაზე უნდა წარადგინონ თავიანთი მოსაზრებანი. კომისიაში შედის ალ. ჯაფარიძე, ივ. მარგიანი და ამბროსი ფოფხაძე.

**სასულიერო სემინარიის საკითხი.**

წაკითხულ იქმნა უწ. სინოდის ბრძანება იმერეთის ეპისკოპოსის გიორგისადმი, სადაც ნათქვამია, იმერეთისა, გურია-სამეგრელოს, სოხუმის ეპარქიას

ნება ეძლევათ ქუთაისში, დასავლეთ საქართველოს დედა-გულში გახსნან სასულიერო სემინარია. პირველად 1916/17 სასწავლო წლის დასაწყისში გაიხსნება I, II და III კლასი. ბრძანებაში ნახსენებია, რომ სემინარიაში უნდა ისწავლებოდეს 1) სადმთო სჯული, 2) ისტორია, 3) ძველი ენები და 4) სიტყვიერება. არ. არის ნახსენები ქართული ენა. როგორც სჩანს მთავრობის აზრით იგი განდევნილი უნდა იქნეს მომავალი სემინარიიდან და მის მაგივრათ ადგილი უნდა დაეთმოს მკვდარ ენებს.

ამ ბრძანების მოხსენების შემდეგ სამღვდელოების დეპუტატებმა თავისი მღელვარება გამოსთქვეს ქართული ენის ასეთი მოპყრობისათვის და დაადგინეს: აღძრულ იქმნას შუამდგომლობა, რათა ხსენებულ სემინარიაში დაიდგას ქათთული ენის კათედრა სადაც უნდა ისწავლებოდეს ქართულ ენაზე ღვთის-მეტყველება, ლიტერატურა, ისტორია, არქეოლოგია და სხვა. დასასრულ არჩეულ იქნა კომისია, რომელმაც უნდა გამონახოს შესაფერი ოთახები სემინარიის კლასების მოსათავსებლად.

კომისიის წევრებად აირჩიეს: მამა სპირიდონ ლეკვეიშვილი, ზ. ნემსიწვერიძე და მათ კანდიდატებად ს. მაჭარაშვილი და გორგაძე.

**სასულიერო სასწავლებლის 1916 წ. ხარჯთ-აღრიცხვა.**

დაწვრილებით წაკითხულ იქნა 1916 წლის ხარჯთ-აღრიცხვა მოსამზადებელი განყოფილებებისა, რადგანაც სამღვდელოება თავის ხარჯით მხოლოდ მოსამზადებელ კლასებს ინახავს. ხარჯთ აღრიცხვა წარმოდგენილი იყო სასწავლებლის გამგეობისაგან და უდრის 5,432 მან. და 98 კაპ. ე. ი. 2,500 მანეთით ნაკლებს ვიდრე წინა წლებში. ხარჯთ-აღრიცხვა კრებამ უცვლელად დაამტკიცა, მხოლოდ სასწავლებლის ფერშალს მოუმატეს წელიწადში 40 მანეთი, საქმის მწარმოებელს 40 მან. და ოთხ მოსამსახურეს, თვეში თითეულს ხუთ-ხუთი მანეთი ე. ი. წელიწადში ოთხივეს 240 მანეთი. სულ ფერშალს, საქმის მწარმოებელს და მოსამსახურეებს მოუმატეს 320 მან.

გამგეობის წევრების ვ. ბაკურაძისა, პარ. ებანოიძის და ლ. დევიძის გადადგომის გამო მათ ადგილზე აირჩიეს: სპირიდონ ლეკვეიშვილი, ზ. ნემსიწვერიძე და მათ კანდიდატებათ მიხ. ბუაჩიძე, ტარასი ყუბანეიშვილი, სპირიდონ ლეკვეიშვილი და მის კანდიდატად სიმონ გველესიანი.

**პარალელური განყოფილების გახსნა.**

სასულიერო სასწავლებლის გამგეობის ყოფილმა წევრმა პარმენ ებანოიძემ მოხსენება წაიკითხა პარალელური განყოფილების გახსნის შესახებ. როგორც მოხსენებიდან სჩანს ყოველ წლობით 200 მეტი მსურველია, მაგრამ უადგილობის გამო 170 კაცი კლას გარედ რჩებაო, ამისათვის მამა ებანოიძე მოითხოვდა რომ პარალელური კლასები გაეხსნათ. პრინციპიულად ამ განძრახვის ყველა თანახმა აღმოჩნდა, მაგრამ რადგანაც სასულიერო ხაზინა ამ ჟამათ ხელმოკლეთ ყოფილა, საკითხი შემდეგისათვის გადაიდო.

**მისალმების დეპეშა ახალ ექსარხოსთან.**

დიდი კამათი გამოიწვია საქართველოს ახალ ეგზარხოსთან მისასალმებელ დეპეშამ, წაკითხულ იქნა რამდენიმე რედაქცია სადაც ექსარხოსს სხვათა შორის სთხოვდენ მრავალ ტანჯული ივერიის ეკლესიის გაუმჯობესობას და ავტოკეფალიის საკითხის გადაწყვეტას. გასაგზავნი დეპეშა წარუდგინეს ყოვლადსამღვდელო გიორგის ეპისკოპოსს იმერეთისას, მაგრამ მან ასეთი დეპეშის გაგზავნა სამღვდელოებას აუკრძალა. დეპეშა მეტად შეკვეცილი გაიგზავნა.

კრება დაიხურა საღამოს 4 საათზე.

**20 იანვარი.**

კრება დაიწყო მამა სამსონ დევიძის თავმჯდომარეობით დილის ცხრა საათზე. კრებას დაესწრო აგრეთვე ქალთა საეპარქიო სასწავლებლის ინსპექტორი ტრიფონ მიხ. ჯაფარიძე.

**საეპარქიო სასწავლებლის 1916 წლის ხარჯთაღრიცხვა.**

თავმჯდომარემ წაიკითხა ხსენებული სასწავლებლის გამგეობის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვა. როგორც ანგარიშებიდან სჩანს საანგარიშო წელიწადში, გასულ წელიწადებთან შედარებით, სასწავლებლის შენახვა ჯდება 2464 მანეთით მეტი. ხარჯთაღრიცხვა, გადათვალიერების შემდეგ, კრებამ დაამტკიცა. იმსჯელეს აგრეთვე ხელუხლებელ თანხის შესახებ და დაადგინეს: ეცნობოს სასწავლებლის საბჭოს, რომ ამიერიდან ხსენებულ თანხას სამღვდელოების დაუკითხავათ არ შეეხონ.

ამ სასწავლებელში ამ ჟამად დაარსებულია მეორე კლასის პარადელური კლასი, რომელიც ზედმეტ ხარჯებს თხოულობს, ამისათვის კრებამ სასურველად იცნო, ამ კლასის მოწაფეები მეხუთე კლასში მიღწევის დროს შეუერთონ ძირითად კლასს და ამ გვარათ პარალელური კლასი გააუქმონ.

გასული წლის 1 სექტემბრიდან სასწავლებლის გამგეობას გაუხსნია სააბანო განყოფილება, რის შენახვაც წლიურათ ჯდება 500 მანეთი. კრებამ ასეთი განყოფილების არსებობა სასურველად იცნო და დაადგინა: ამ განყოფილებაში მიიღონ სრულებით მოუმზადებელი ბავშვები.

სასწავლებლის გამგეობისაგან აგრეთვე წარმოდგენილი იყო მოსამსახურეების თხოვნა ჯამაგირის მომატების შესახებ, მაგრამ უსახსრობის გამო უარი უთხრეს.

**ბაგრატის ტაძრის ნანგრევები**

ერთი წელიწადია რაც ამ განსაცვიფრებელი ტაძრის ნანგრევების ეზო ქვის კედლებით შემოფარგლეს, თვით ნანგრევების კედლები შეამაგრეს, ეზო გაწმინდეს, და ბაღათ აქციეს. დარგეს დაფნისა და გუნდის ხეები და სხვა. მიუხედავად იმისა, რომ ტაძრის ეზო შემოფარგლული იყო, მაინც ჩადიოდენ შიგ და ძვირფას ქვებს ამსხვრევდენ. მოუპარავთ აგრეთვე 1000 ცალამდე დაფნის ნერგი და რამდენიმე გუნდის ხე, რომ ეს ბოროტ-მოქმედება მომავალშიაც არ განმეორდეს, ამ რამდენიმე თვის წინად სამღვდელოებას მოუწვევია კაცი, რომელიც მეთვალყურეობას უწევს ბაგრატის ტაძარს და ეზოს. ეს დაქირავებული კაცი დღემდის უსასყიდლოთ იყო, კრებამ თვიურად 10 მანეთი დაუნიშნა.

**ავტოკეფალიის საკითხი.**

ყრილობას გასარჩევათ დასმული ჰქონდა საკითხი საქართველოს ავტოკეფალიის შესახებ, მაგრამ ამის შესახებ ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსმა გიორგიმ მსჯელობის ნება არ დართო. „ეს საქართველოს მთელ სამღვდელოებას შეეხებაო“ წააწერა ყოვლად სამღვდელომ.

ჩვენი აზრით ასეთი საჭირბოროტო საკითხის შესახებ, რომლის გარშემო დიდი დავაა ატეხილი უსათუოდ უნდა ემსჯელათ. სადაც თვით ყოვლად სამღვდელოსაც მხურვალე მონაწილეობა უნდა მიეღო. დეპუტატები არქიელის ასეთი განკარგულებით უკმაყოფილოდ დარჩენ. სხვათა შორის, მღვდელმა რაჟდენ ხუნდაძემ განაცხადა: „ჩვენ დაგვცინებენ და კიდეც გაგვკიცხავენ თუ ასეთ საჭირო საკითხზე არ ვიმსჯელეთო“. კრებამ მიუხედავად იმისა, რომ არქიელმა ნება არ დართო ამის შესახებ მსჯელობისა მაინც დაადგინეს ყრილობის დასრულებისას ამ საკითხსაც მიაქციონ ყურადღება, მხოლოდ დადგენილება ჟურნალში შეტანილი არ იქნება.

(შემდეგი იქნება)

# ხევ-მთიულეთი და ომი

(დუშეთის მაზრა)

ყველას მოეხსენება, რომ ხევ-მთიულეთის მკვიდრთ ისეთი მწირი და უნაყოფო ალაგი აქვს, რომ მთის ჰავის და კლდოვან ნიადაგის გამო არავითარის მიწის მოსავლით არ სარგებლობენ. ეს ჩვენი მიწა-წყალი დარიალით დაწყობილი ვიდრე ანანურამდე ისეთი ხელ-უყრელია და უსარგებლო, რომ წყლის მეტს აქ ყველა საზრდოს ფულით ვაჭრობენ და 45—100 ვერსის მანძილზედ (კავკავიდან) შინ ეზიდებიან. ამ ბუნებისაგან დაჩაგვრას დაემატა მსოფლიო ომი, რომელმაც ლამის არის მიწასთან გაასწოროს მთის მკვიდრნი. მართალია ამ ომის ქარცეცხლი ვინც იგემა არც ისინი არიან კარგს ბედში და პირობებში ჩაყენებულნი, მაგრამ კერძოდ მთის ხალხი ეკონომიურად ძალიან უკან დასწია. აქაური ცხოვრება დამოკიდებული იყო მარტო ფიზიკურს ძალაზედ და ამ ფიზიკურს ძალას შეეძლო მტრისა და მოკეთის გაძლოლა, ოჯახის საზრდოება, სახელმწიფო და საზოგადო ხარჯების გასტუმრება. მაგრამ სამწუხაროდ ჩეენდა, ეს ძალა ამ წელიწადნახევრის ომმა ხელიდან გამოგვაცალა და გვაცლის კიდევ. ეს ფიზიკური ძალა გახლდათ ჯან-ღონით შემოსილი და საღ-სალამათი ახალგაზდობა, რომელთა კისრად იყო დაწოლილი ოჯახის წევრთა, უძლურთა და მოხუცთა შენახვა. ეს ახალგაზდობა მისდევდა ცხვარ-საქონლის მოშენებას, ახალგაზდობა, ასობით და ორასობით მუშაობდა საქართველოს სამხედრო გზაზე მცირე რამე საფასით, ამდენივე მდიდარ თავრიჩნებთან მიდიოდენ მწყემსად ჯამაგირზედ თერგის ოლქში, ამავე ოლქში ყაზახებთან ხელოსანი ხალხი: მეუნაგირე, მექუდე, ჩოხების მკერავნი და სხვანი იძენდა ლუკმა პურის გროშს. ხოლო უმეტესი ნაწილი კი მთიულ მოხევისა ოჯახს ასაზრდოებდა ცხენ-ურმებით მუშაობით სამხედრო გზაზედ, კავკავიდან თბილისში ქირის ზიდვით... ახლა რა მოხდა?— ოჯახს ჩამოერთო საუკეთესო მშრომელი შვილი, საუკეთესო ცხენი და მოაკლდა ხალხს წყარო არსებობისა. ამ ახალგაზდობამ მიატოვა ცხვარი, გუდა-ნაბადი, მეგუთნემ—გუთანი, მეურმემ—ურემი, მუშამ—თოხი და ბარი, ხელოსანმაც—თვისი სახელოსნო; შეიბა ხმალი, აიღო ხელში თოფი და გაექანა ბრძოლის ველზედ მტერთან საბრძოლველად. ის აღარ დარდობს იმაზედ, რომ მან დასტოვა მოხუცი თვალცრემლიანი მშობლები, ტურფა ცოლ-შვილი ულუკმა-პუროდ. ის მარტო იძახის: „ან გამარჯვება ან სიკვდილი სახელოვანიო“. მე მაინც ისევ მოგახსენებთ მთის ხალხის შინ დატოვებულს ოჯახზე; წარსულ ხალხს ომისა არ ეშინიანთ, რადგანაც ღვთით სიმამაცე მთიულ—მოხევეს მამაპაპითვე შესწევს. ზემოთაც მოვიხსენეთ, რომ წყლის მეტს ჩვენს მთაში ყველა საზრდოს ფულით ყიდვა და შორი მანძილით მოტანა უნდაო. 1877 წლის რუსოსმალოს და 1904 წლის რუს-იაპონიის ომებს მთის ხალხზე არავითარი ცუდი გავლენა არა ჰქონია, იმიტომ, რომ გარდა გაწვეულის ჯარისა აქედამ არც სათადარიგო ჯარი წაუყვანიათ და არც ცხენ-ურმები ვისთვისმე ჩამოურთმევია, თანაც ყოველნაირი სამხედრო, რაც კაცისთვის აუცილებელს საჭიროებას შეადგენდა, პირიან ფასათ იყიდებოდა. ეხლა-კი ავიღოთ მაგალითად და შევადაროთ მაშინდელი ფასები ეხლანდელ ფასებთან. რაც უნდა კარგი საურმე ცხენი ყოფილიყო ღირდა 40—60 მანეთამდე, ეხლა ღირს 100—200 მანეთი. შეშა მაშინ 2—3 მანეთი ღირდა ცხენის ურემი, ეხლა 9—10 მანეთი, (ხევში იყიდება). ფქვილი მაშინ კავკავში ღირდა 1 მ. 20 კ. ფუთი, ეხლა 3—30 კ. ავიდა, კარტოფილი მერკა ანუ ფუთი 15—20 კაპ. იყო ეხლა 1 მანეთი გახდა. სიმინდი ფუთი 20 კ. იყო, ეხლა 70 კაპ. არის ფუთი. კომბოსტო ასი თავი იყო 1 მ. 20 კ—2 მ. ეხლა 20 მანეთი გახდა. ნავთი 3 კაპ. გირვანქა იყო, ეხლა ავიდა ფასი 7 კაპ. შაქრის ფასი 13 კაპ., 24 კაპ. არის. გზებზედ ყოველგან მეურმე ვაჭრებისაგან ფუთს თივას ყიდულობდა 15—20 კაპ. ეხლა 1 მან. გახდა. პური გამომცხვარი 3 კაპეიკიანი 7 კაპეიკი არის, ხორცი გირვანქა 7 კაპეიკიანი 20—25 კაპეიკი არის. სანოვაგეს ასე დაძვირება რა საკვირელია გამოიწვია მუშა ხელის შემოკლებამ. ყველა მრეწველობა მოიშალა, ყველა ქარხნები შეჩერდა, რკინის გზის ვაგონები მთლათ დაეთმო სამხედრო სურსათის და ჯარების ზიდვას, ზღვები შეიკრა, ყველა საჭირო რამე მოუნდა ომსა, ყველა ცხოვრების უსაჭიროესი მასალამ ომისაკენ ქნა პირი, ის ძლიერი ძალა, რომელიც ასაზრდოებდა მთელს ქვეყანას, დააწვა იმ უძლურს ძალას ვის კისერზედ ეს უკანასკნელი ბარგათ იყვნენ ჩამოკიდებულნი. აი ამიტომ გაჭირდა ჩვენში ცხოვრების არსებობა, ჩარხი უკუღმა დატრიალდა; ამას ზედ დაერთო ფასანაურის ლესნიჩის უსაზღვრო თავ-გასულობა. მოხევეებს გვეუბნება აფიციალურათ, მთელი საზოგადოება ჯადმოდით, ჩემ მიერ ნაჩვენებს ალაგებში (მთის წვერებზედ) საჟენები ერთის პირით დადგითო, ერთად ფული შეკრიფეთ და შემოიტანეთ, მერე დანიშნულს ვადაზედ ერთად მოდით ურმებითა და ერთადვე გაიტანეთო. წინააღმდეგ შემთხვევაში შეშის გაზიდვა აგეკრძალებათო. რასაკვირველია, ასეც მოხდა. განა შეუძლიან მთლად ხალხს თავის მოყრა, ცულებით 70 ვერსის მანძილზედ ნაჩვენებს ალაგებში საჟენებით შეშის დადგმა? განა ყველა ოჯახიშვილია? განა ყველას ურმები და ცხენები ჰყავთ? რაც ომი ასტყდა, მას შემდეგ ობოლ-ქვრივი და უცხენუხარო ოჯახები საქონლის ნაგავს ახმობენ (წივას) და იმითი ათბობენ სახლებს და აცხობენ ლუმლებში პურსა...

კარგს დღეში არც წამალ-ექიმის მხრით არის ჩვენი ხალხი ჩაცვივნულნი. ძლივს სადმე მთელს ხევს თრუსოს მკვიდრთ საგუბერნიო მართველობამ გვაღირსა ერთად ერთი ფერშალის დანიშვნა სოფ. სტეფანწმინდაში და ცოტაოდენი წამლები უსასყიდლოდ, თუ იქ სნეულს მიიყვანდი, მაგრამ თუ ფერშალს სნეულთან გაიწვევდი მაშინ ბუზი აქლემი ჯდებოდა. რა ცოდვა ქირით ამ ფერშალ-აფთიაქარმა ისულდგმულა ორი თუ სამი წელი. დაიწყო თუ არა ომი, ფერშალმა კარგი ალაგი იშოვა, აფთიაქი მიგვიკეტა და დღესაც მიკეტილი არის. აქ სახადმა მრავალი იმსხვერპლა, სხვა და სხვა სნეულების მსხვერპლიც ბევრია, მაგალითად ქუნთრუშით როსტომა მარსაგიშვილს გადაეცვალა სამი ბავშვი, მის ძმას ალექსასაც—4 ყმაწვილი. ბევრი რამ სხვა გაჭირვება არის ჩვენს თავსა, მაგრამ ყველა სადა სთქვას კაცმა?..

ამ მოკლე ხანში ხევის ხალხმა (და იქნება მთიულებმაც) დეპუტაციები აირჩიეს და მეფის ნაცვალთან გზავნიან რათა მას შესჩივლონ თავისი გასაჭირი.

**კალმის-წვერა.**

# პროვინციის ქრონიკა

**ქ უ თ ა ი ს ი.**

ქუთაისის „ქალთა საზოგადოებას“ განუზრახავს თებერვალში გამოსცეს ლიტერატურული კრებული.

— 22 იანვარს ქუთაისის და მის გუბერნიაში ომისაგან დაზარალებულთა მზრუნველმა საგუბერნიო კომიტეტმა ყულაბებით ფული შეაგროვა.

— კვირას 24 იანვარს ქუთ. კოოპერატიულმა საზოგადოებამ „კოოპერაციამ“ მიიღო ერთი ვაგონი შაქარი.

**ფ ო თ ი.**

გვედირსა აქაურებს სამკითხველოს გახსნა ადგილობრივ წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ თავის მფარველობის ქვეშ მიიღო სამკითხველო, აირჩიეს გამგეობის წევრები და ენერგიულად შეუდგნენ საქმის წარმოებას.

**დ. ზუგდიდი.**

14 იანვარს ს. დარჩელის, კოკის, კახათის და რუხის რწმუნებულნი წარუდგენენ ქუთაისის გუბერნატორს შუამდგომლობით, რომ საჭიროა მთავრობამ ზომები მიიღოს ენგურის ნაპირების შესაკეთებლად.

**ბ ა ქ ო.**

ბაქოს მე-II სადგურზე. სადგურის უფროსის თანაშემწემ, რომელიც ახლა სადგურის უფროსის მოადგილეთ არის, გალახა მეისრე რომელიც თავის სადარაჯოზე იდგა.

**ალაგირი** (თერგის ოლქი).

14 იანვარს წმ. ნინოობა აქაურმა ქართველებმა ჩვეულებრივ დიდის ამბით გადაიხადეს.

**ო ნ ი.**

ონის მცხოვრებლებმა დაადგინეს, აღარ გადუხადონ მიცვალებულს ქელეხი მაგრამ სისრულეში ვერ მოიყვანეს. როდესაც გარდაიცვლება ვინმე და ჭირისუფალი ქელეხს არ გადაიხდის, ხალხი ნაკლებად ესწრება, ასე რომ მიცვალებულის წამსვენებელიც აღარსადა სჩანს.

**სადგური სუფსა**

ათ იანვარს შესდგა სუფსის მომხმარებელი საზოგადოების წევრთა წლიური კრება. ამხანაგობაში ირიცხება 166 წევრი. ამათგან პაის ფული 789 მან. სესხი საკრედიტო ამხანაგობისაგან 1,184 მან. სულ 1973 მან.

# თეატრი და ხელოვნება

**სახალხო სახლი.**

დღეს, 27 იანვარს, ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **„ქვის მთლელნი“** დრამა ოთხ მოქმედებად **ზუდერმანისა** თარგ. **სანდალასი.** მონაწილეობას ღებულობენ საუკეთესო ძალები.

**ქუთაისი.**

ამ ბოლო ხანებში დიდძალი ხალხი ეტანება ქართულ წარმოდგენებს. სხვათა შორის დიდათ მოიწონეს **„მოლიპულ გზაზე“** ერისთავ-ხოშტარიას რომანიდან გადაკეთებული გარრიკას მიერ. ეს პიესა მეორეჯერ დაიდგა 23 იანვარს და ხალხით გაჭედილი იყო თეატრი.

— 2 თებერვალს დანიშნულია მსახიობ ქალის **მარო მდივანის** ბენეფისი. წარმ. იქმნ. „იუდას მემკვიდრე“ შეასრულებს კალვიას როლს.

— თებერვლისავე პირველ რიცხვებში განზრახულია მოწვეულ იქმნას დამსახურებული მსახიობი **ელისაბედ ჩერქეზიშვილი,** რომლის პატივსაცემლადაც გაიმართება სადღესასწაულო წარმოდგენა.

— ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ **ელო ანდრონიკაშვილი** პირველად გამოვა კვირას, 31 იანვარს პიეს. „გამარჯვებულნი“-ში ნუნუს როლში.

# წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ ამ წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულს „საქართველოს“ ფურცლებზე: გაზეთ „საქართველოში“ ამოვიკითხეთ „მგოსან“ იროდიონ ევდოშვილის მდგომარეობა, რომელმაც ჩვენ „დედოფლის წყაროს“ ქართველობა საგრძნობლად დაგვაფიქრა. გავმართეთ საცეკვაო საღამო, რომლის თაოსნობაც ბოქაულ ყარალაშვილის ქალებს ეკუთვნის. წმინდა შემოსავალს 60 მანეთს—გაზეთ „საქართველოს“ საშუალებით უგზავნით ძვირფას მამულიშვილს და ქართველ ერის სიამაყეს იროდიონ ევდოშვილს.

სოფ. დედოფლის წყაროს ქართველების მონდობილობით **მღვდელი რომანოზი ნატროშვილი.**

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

# [illegible] რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

**თბილისიდან გადის:**

| | | № | | ს. წ. | |
|---|---|---|---|---|---|
| ბათომისკენ | სამგ. მ. | 9 | . | 8.53 | საღ. |
| „ | საფ. „ | 3 | . | 9.58 | დილ. |
| ხაშურისკენ | სამგ. „ | 19-20 | | 3.20 | ნაშ. |
| ბაქოსკენ | ჩქარი „ | 4 | . | 10.20 | საღ. |
| „ | ჩქარი „ | 6 | . | 12.8 | დღის |
| „ | სამგ. „ | 8 | . | 11.13 | ღამ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | . | 11.13 | ღამ. |

**თბილისში მოდის:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბათომიდან | საფ. მ. | 4 | . | 9.30 | საღ. |
| „ | სამგ. „ | 10 | . | 9.51 | დილ. |
| ბაქოდან | საფ. „ | 3 | . | 9.3 | დილ. |
| „ | ჩქარი „ | 5 | . | 7.41 | საღ. |
| „ | სამგ. „ | 7 | . | 1.42 | ნაშ. |
| ხაშურიდან | სამგ. „ | 19-20 | | 7.25 | დილ. |
| ყარს-ერევნ. | საფ. „ | 4-3 | . | 8.8 | დილ. |

# კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| ტფილისიდან . . | 8 ს. 58 წ. | დილ. | |
| ნავთლუღი-ამიერ კავ. | 9 „ 23 | „ | „ |
| ნავთლუღი-კახეთისა. | 9 „ 43 | „ | „ |
| ვაზიანიდან . . | 10 „ 42 | „ | „ |
| იორიდან . . | 11 „ 35 | „ | „ |
| საგარეჯოდან . | 12 „ 17 | „ | „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ 15 | დღის | |
| მელაანიდან . . . | 2 „ 37 | „ | „ |
| გურჯაანიდან . | 4 „ 08 | „ | „ |
| ვაჩნაძიანიდან . | 4 „ 58 | „ | „ |
| თელავში მიდის . | 5 „ 35 | „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 4 „ 18 | „ | „ |
| კარდენახიდან . . | 4 „ 50 | „ | „ |
| წნორის-წყალ. მიდის | 5 „ 15 | „ | „ |

**თ ე ლ ა ვ ი დ ა ნ**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან . . . | 8 ს. 58 წ. | დილ. | |
| ვაჩნაძიანიდან . . | 9 „ 45 | „ | „ |
| გურჯაანიდან . . | 10 „ 46 | „ | „ |
| მელაანიდან . . | 12 „ 02 | „ | „ |
| ბადიაურიდან . . | 1 „ 13 | „ | დღის |
| საგარეჯოდან . . | 2 „ 15 | „ | „ |
| იორიდან . . | 2 „ 53 | „ | „ |
| ვაზიანიდან . . | 3 „ 40 | „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . | 4 „ 31 | „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 4 „ 46 | „ | „ |
| თბილისში მიდის . | 5 „ 01 | „ | „ |
| წნორის-წყლიდან . | 9 ს. 16 წ. | დილ. | |
| კარდანახიდან . . | 9 „ 46 | „ | „ |
| გურჯაანში მიდის | 10 „ 16 | „ | „ |


# 1916 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

# „ნაკადულ“-ზე

**წელიწადი მეთორმეტე**

ჟურნალი **„ნაკადული“** გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

**ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ**

**24** წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. **12** წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი 3** მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის **12 წიგნი**—3 მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

**ხელის მოწერა მიიღება**

**ტბილისში**—„ნაკადული“-ს რედაქციაში. ზუბალაშვილის სახლი გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули“, Головинскій пр. № 8. შემოსასვლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალაძესთან. **ფოთში**—ლუდმილა მევრელიშვილთან. **ბათომში**—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში, და ანასტასია ლომინაძესთან. **ოზურგეთში** და **ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—მარიამ ნაკაშიძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე

გამომცემელი თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.



**წ ი გ ნ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა**

# „ახალი სიტყვა“ („Новая рѣчь“).

**ი. დ. კ ი კ ნ ა ძ ი ს ა.**

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.



# თევზის მრეწველნი

# ძმ. მეგველიძეები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

# განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. **„ლ. მაილოვის-შვით,** სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა,** მცირე მარილიანი, შავი **„მეშოჩნი“** ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.



# ჯეჯილი

**საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი**

**ოცდა მეშვიდე წელიწადი**

ჯეჯილი დაარსებულია 1890 წ. გამოვა 1916 წ. თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა, პატარებისათვის და მოზრდილთათვის

# ჟურნალი „ჯეჯილი“

თბილისში ეღირება 4 მან. ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მან. ნახევარი წლით 3 მან., ცალკე ნომერი 40 კაპ., ხელის მოწერა მიიღება თბილისში—ჯეჯილის რედაქციაში (არტილერიის ქუჩა, № 5.) რედაქციაში ისყიდება ყველა **26** წლის ნომრები და რედაქციის გამოცემული საყმაწვილო წიგნები.

**ფოსტის ადრესი:** Въ Тифлисъ въ Ред Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.

რედაქტორ-გამომცემელი **ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.**




სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაბაევის შესახვევი № 4.